კვირა 17 ნოემბერი 1918

წელიწადი პირველი.

№ 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯარი და ერი



Библиотека ... при ЦК ВКП(б)

F 1355

ყოველ-კვირეული ჟურნალი „ჯარი და ერი“

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ.

ჟურნალი წლის დამლევამდე ეღირება 12 მან. ცალკე ნუმერი 2 მან. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი, რედაქცია „ჯარი და ერი“. რედაქცია და კონტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5, და ღია არის დილის 11—2 ს. და საღამოს 6—8 ს.

**ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ**: აბესაძე აქვს. პოლკოვნიკი, ანდრონიკაშვილი გენერალი, ბენაშვილი პროფესორი, გენერალი. გედევანიშვილი ნ., პოლკოვნიკი, გ. ლეიტენანტი, ერისთავი—შარვაშიძე ნიკ., ექიმი, კეკელიძე ანდრ., პორუჩიკი, კვინიტაძე გ., გენერალი, სირაძე ი. ჯარისკაცი, ყიფშიძე ზაქ. გენერალი, ქუთათელაძე ბეითანდი, ჩივაძე გენერალი. ცაგარელი ლ. პოლკოვნიკი.

არაგვისპირელი, ბარნოვი, გომართელი, გრიშაშვილი, ერთაწმინდელი, კაკაბაძე, კ[illegible]შვილი, ნიკიტინი, ყიფიანი, ყიფიანი ბ., რობაქიძე, სულიაშვილი, უზნაძე, ქუ[illegible], ჯავახიშვილი ივ., ჭიჭინაძე, შარაშიძე, ჭანი და ქიქოძე,

რედაქტორი ა. ხ. ხვანიძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი, ნოემბრის 17.

დღევანდელ პირობებში ახალ გაზეთის ან ჟურნალის გამოშვება დიდ გაბედულობად უნდა ჩაითვალოს. ყველას უნებლიედ დაებადება კითხვა. ვინდაა ეს ახალი ჯგუფი? რა სურს მას? ნუ თუ ჩვენს პოლიტიკურ კალეიდოსკოპში მისი ფერი ადარავინ მოიპოვებოდა, რომ მას მიჭკედლებოდა იგი? თუ ცალკე არსებობის ჟინი იმდენათ დიდია მასში, რომ ორის კვირის სიცოცხლით მაინც სურს თავისი არსებობა ამცნოს მან ქვეყანას. არა, ბატონებო! ჩვენ არ ვეტრფით წუთისოფელს. ჩვენ გვსურს დღეგრძელი ვიყოთ. არც ჯგუფს ვუწოდებთ თავს, ჩვენი სახელი „ლეგიონია“.

მართალია, სიტყვის და კალმის მოღვაწეების რიცხვი დიდია ჩვენში; მართალია მათი „ლოზუნგები“ მრავალფეროვანია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ვერ ჰპოვებს ამ „ლოზუნგებში“ თავის გულის ნადებს, რატომ ხდება ასე? ქართველ დემოკრატიის მებაირახტრენი ის პარტიები იყვნენ, რომელნიც დღეს სახელმწიფო ძალას მოექცნენ სათავეში. მათი სიტყვა აქნამდი საქმე იყო. იგი აღვიძებდა საზოგადოების აზროვნობას, უთითებდა მას უკეთეს მომავალზე და უჩვენებდა შესაფერ გზას და საშუალებებს. მას შემდეგ კი, რაც ეს პარტიები სახელმწიფოს საჭის მმართველნი შეიქმნენ განჭქრა მათი კრიტიკა და მისი ცხოველი ძალა-სიტყვამ აპოლოგეტური ხასიათი მიიღო. არსებულის კრიტიკის მაგიერ იგი თავს იცავს. ეს ასეც უნდა იყოს, შეუძლებელია მთავრობა მთავრობაც იყოს და ოპოზიციაც.

მაგრამ განა ჩვენს მთავრობას კრიტიკა ან ოპოზიცია აკლია? სრულებითაც არა! მაგრამ საქმე ისაა, ვინ აწარმოებს ამ კრიტიკას და როგორ აწარმოებს მას? დღევანდელ მთავრობას აკრიტიკებენ ან უცხო ტომის წარმომადგენელნი, რომელთაც არცა აქვთ ორგანიული კავშირი ჩვენს საზოგადოებასთან და არც სურთ რომ ჰქონდესთ; ან კიდევ შინაურები, რომელნიც ძალას ეძავებიან მას, თუმცა არც ობიექტიურათ ვარგანან საამისოთ და არც სუბიექტიურათ. ამათი კრიტიკა აბსოლუტურათ უვარგისია, მათი დევიზი „чѣмъ хуже—тѣмъ лучше“-ა; ჩვენთვის კი „чѣмъ хуже—тѣмъ хуже“-ა. ჩვენ არავის ვეძავებით არც ძალას და არც გავლენას, პირიქით, ჩვენის აზრით, ზოგიერთ ჩვენს ბელადს რუსეთშიაც რომ შერჩენოდა ხელში ძალა-უფლება, კაცობრიობა არას წააგებდა ამით. ამის და მიუხედავათ ჩვენი კრიტიკა იქნება ლოიალური მეგობრული, ამას აზრათ ექნება არა დასუსტება მთავრობისა, არამედ მისი გამაგრება. იგი ხშირათ იხელმძღვანელებს იმ პრინციპით, რომელსაც გერმანელები ასე გამოსთქვამენ: „Ausprechen was ist“ (ქართულად ხელდაუფარებლობის პრინციპი), მაგრამ მხოლოთ იმ მიზნით, რომ სადი შეიქმნეს ჩვენი პოლიტიკური ატმოსფერა.

ჩვენ სულ კრიტიკაზე ვლაპარაკობთ! იმიტომ რომ დღევანდელი ნგრევა-შენების ხანაში უპარტიო ჟურნალს საკუთარმა სულიერმა ბუნებამ უნდა უკარნახოს ეს. მაგრამ ამასთანავე ჩვენი ჟურნალი თავის უწმინდეს მოვალეობად ჩასთვლის—მთელი მორალური ენერგიის მოახმაროს მთავრობის იმ ნაბიჯების დაცვას, რომელთაც სახეში ექნებათ **ქართული სახელმწიფო, როგორც ეგეთი; ქართველი ერი როგორც ერთეული.** ჩვენ ხაზს ვუსვამთ უკანასკნელ დებულებას, რადგან ჩვენის რწმენით მსოფლიო ისტორიის უკანასკნელი ხანა ნაციონალურ სახელმწიფოთა ხანაა. ნაციონალურ სახელმწიფოში ფართო ეროვნული პოლიტიკა უნდა სწარმოებდეს. მართალია, დასავლეთში გაბატონებული პარტიები კლასობრივ ელფერს სდებენ თავიანთ პოლიტიკას, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ მათი ძალა სოციალურად გაბატონებულ კლასებზე ემყარება. ჩვენს პრიმიტიულ საზოგადოებაში, სადაც სოციალური დიფერენციაცია შორს არაა წასული კლასები არაა ჩამოყალიბებული. მით უფრო ადვილია, მაშასადამე, აქ ფართო ეროვნულ პოლიტიკის წარმოება, პარტიულ და ინტერნაციონალურ პოლიტიკის მაგიერ.

უდიდეს სააწმყოვო პრობლემად ჩვენ ეროვნულ ჯარის შედგენა მიგვაჩნია. ჩვენს ჟურნალს მიზნად დასახული აქვს ყოველ ღონისძიებით შეუწყოს ხელი ამ რთულ და თავსატეხ პრობლემის გამორკვევას; მისი რედაქცია სანახევროდ უკვე შესდგება ისეთ მცოდნე სპეციალისტთაგან, რომელთა სჯას ამ კითხვის შესახებ, იმედია, გულდასმით მოისმენს ქართველი საზოგადოება. გარდა ამისა, ზოგი, რედაქციის გარეშე მდგომი, ქართველ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პირიც შეგვპირდა დახმარებას. ვიმედოვნებთ, რომ არც ის სპეციალისტები მოგვაკლებენ შემდეგში დახმარებას, რომელთაც დღემდის ვერ მისწვდენია ჩვენი ხმა. ჩვენი ყური მუდამ მზად იქნება მათის რჩევა-დარიგების მოსასმენათ. ჩვენის ჟურნალის ფურცლები—მუდამ მზათ მათის აზრების აღსაბეჭდათ.

ჩვენი ორგანო არაა წმინდა სამხედრო. მიუხედავად ამისა ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართული სამხედრო ინტელიგენცია ისე შეხედავს მას, როგორც თავის აკადემიურ ორგანოს და მორალურ დახმარებას არ მოაკლებს მას.

## ზავი და რევოლიუცია

მოხდა ის, რასაც ოთხის წლის განმავლობაში ამაოთ ელოდდა კაცობრიობა. გერმანეთის ფრონტი შეირყა. შეირყა იმდენად საფუძვლიანათ, რომ სხვა ფრონტებიც შეარყია. პირველ ყოვლისა, დიპლომატიური ფრონტი. მოკავშირეებმა მიატოვეს გერმანეთი და ცალკ-ცალკე შეეცადნენ თავის შველას.

შემდეგ შინაური ფრონტიც მიჰყვა. აქამდის, მაგარმა გერმანულმა მთავრობამ სწორეთ ამ ფრონტზე დაათავა პოლიტიკურ სიკვდილით თავისი სიცოცხლე.

ყველასაგან მიტოვებული, შიგნიდან და გარედან დასუსტებული გერმანეთი იძულებული შეიქნა ზავი მოეთხოვა მოპირდაპირეთათვის. მიიღო კიდეც ის ზავი, მაგრამ ეს ზავი არაა მორიგების ზავი; მორიგებაში ორი მხარე ლაპარაკობს, აქ კი ერთი მხარე ბრძანებლობს მხოლოთ. ეს ზავი, ერთის სიტყვით, ის ზავია, რომელსაც თვით გერმანეთი ესწრაფვოდა მხოლოთ თავისთვის კიარა, სხვებისთვისაც. მისი პირობები, დეპეშების ცნობებით, ასეთია: გერმანეთი დაუყოხებლივ ანთავისუფლებს ლიუქსენბურგის, ელზას-ლოტარინგიის, ბელგიის და საფრანგეთის იმ ნაწილებს, მან ომის დროს რომ დაიკავა, დაუბრუნებს მათ ძალათ გახიზნულ მცხოვრებთ. ანთავისუფლებს აგრეთვე რეინის მარცხენა მხარეს, რომელსაც შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარები იჭერენ. უკანასკნელთა ხელში უნდა იქნენ აგრეთვე რეინის მთავარ-გადასავალნი, მაინცთან, კობლენცთან და კელნთან. რეინის მარჯვენა მხარეს უმთავრეს სტრატეგიულ პუნქტ"ში მოკავშირეთა გარნიზონები იდგება. ამ გარნიზონების შენახვა გერმანეთს ევალება. მხოლოთ ელზას-ლოტარინგიაა ამ მოვალეობისაგან თავისუფალი. გერმანეთმა უნდა ჩააბაროს მოკავშირეთ 5000 ზარბაზანი, 30, ათასი ტყვიის მფრქვეველი 3 ათასი ნაღმის მფრქვეველი, 2 ათასი ჰაეროპლანი, 5 ათასი ლოკომოტივი, 150 ათასი ვაგონი, 5 ათასი ავტომობილი და სავაჭრო გემები, რომელნიც ომის დროს წაართვა მათ. გარდა ამისა, გერმანეთმა უნდა დაამწყვდიოს ნეიტრალურ ან სხვა წინასწარ ნაჩვენებ ნავთსაყუდრებში 115 დიდი ტიპის საომარი გემი 8 სწრაფი კრეისერი და 50 გამანადგურებელი. სამხედრო ფლოტის დანარჩენ ნაწილს უნდა მოეხსნას იარაღი. იგი თუმცა გერმანიაში დარჩება, მაგრამ მოკავშირეთა ზედამხედველობის ქვეშ იქნება. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობები და მისი დამატებანი უქმდებიან. გერმანიას გაჰყავს თავისი ჯარები, რუსეთიდან, რუმინიიდან, ოსმალეთიდან და სხვა. ამ სახელმწიფოებში იგი აღადგენს იმ საზღვრებს, რომელნიც მათ ომის დროს ეკავათ, ანთავისუფლებს აგრეთვე შავი ზღვის ყველა ნავთსაყუდრებს, კისრულობს ხელი არ შეუშალოს ბალტიის ზღვაზე ცენაველობას. დასავლეთის ფრონტისთვის დადებული პირობების შესასრულებლად გერმანეთს ორი კვირის ვადა ეძლევა, მოკავშირეთა ფლოტი განაგრძობს არსებულ ბლოკადას.

ეს პირობები, როგორცა სჩანს, წინასწარნი არიან და არა საბოლოონი. ჩვენ [illegible]ოდგენია, მაგალითათ, რომ შეთა[illegible] მწიფოებმა არ მოისურვონ გერმანიის კომერციული ფლოტით ნაწილობრივ მაინც აინაზღაურონ ის უზარმაზარი ზარალი, რომელიც მათ გერმანიამ მოაყენა. არც ისაა საგულვებელი, რომ მოკავშირეებმა არ მოითხოვონ გერმანული ჯარის შემცირება და სამხედრო ინდუსტრიის შეზღუდვა.

ზავის პირობები, როგორცა ვსთქვით, ცალმხრივნი არიან, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ისინი ჯერ-ჯერობით არ არიან ისე თავხედურნი და მომსპობნი, როგორც, მაგალითათ, ბრესტის ზავის პირობები. საერთოთ რომ ვსთქვათ, ისინი თავდაცვითი ხასიათისანი არიან; არ უნდა დავივიწყოთ, რომ საფრანგეთი საშინლათ დასუსტებული გამოდის ამ ომიდან; რომ გერმანია ამის შემდეგაც გაცილებით ძლიერი დარჩება საფრანგეთზე; არ უნდა დავავიწყდეს, რომ საფრანგეთის მოკავშირეთ დიდი დრო და უნარი დასჭირდათ, სანამ იმდენ ჯარს დააგროვებდენ მის საზღვრებზე, რომ თავის ნებაზე დაიყოლიებდენ გერმანეთს. ყოველ შემთხვევაში, ერთი შეგვიძლია დანამდვილებით ვსთქვათ. გერმანიისგან ნაბრძანები ზავი გაცილებით უფრო სასტიკი იქნებოდა, ვიდრე მოკავშირეთაგან ნაკარნახევი ზავია. ვისაც ამაში ეჭვი შეეპარება, შემდეგს მოვახსენებთ. როდესაც გერმანეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, შემდეგი ულტუმატუმი დაუსვა საფრანგეთს: თუ ნეიტრალურათ დარჩომას მოისურვებ, მაშინ საწინდრად ვერდენი და ბელფორი გადმომეციო.

# რა სურთ მათ?

მკითხველმა უწყის, რომ ჩვენის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ჩვენმა უახლოესმა მეზობლებმა— სომხებმა და რუსებმა ყოველივე კავშირი გასწყვიტეს ჩვენთან.

მათი მტრობა, რამდენი დრო გადიოდა, იმდენი უფრო მასსიურს და კომპაკტურ ხასიათს ღებულობდა! ბოლოს, ეს მტრობა იმდენათ გაღრმავდა, რომ ის იდეიური ერთგვარობაც კი შთანთქა, რომელიც ზოგიერთ ჩვენსა და მათს წრეებს შორის არსებობდა. ამ მტრობას, სანამ თეორეტიული ხასიათი ჰქონდა, ჩვენ ვურიგდებოდით, მაგრამ დღეს ის გადასცდა ამ საზღვრებს და რეალური ფორმები შეისხა.

სომეხ-რუსთა ნაციონალისტები ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ აშკარა პროპაგანდას, აწყობენ შეთქმულებებს, აფეთქებენ ხიდებს და, დაბოლოს, თავს გვესხმიან კიდეც ჯარებით, ჩვენსავე ტერიტორიაზე. ვინც საქმეს აქამდის მიიყვანს, მისთვის, აშკარაა, აღარაფერი რეზონი აღარ სჭრის. მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ერთხელ კიდევ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქარ. მთავრობის თავმჯდომარე
## ნ. ნ. ჟორდანია

კითხოთ, რამ გაამწარა ეს ხალხი? რა დაუშავა საიმისო ქართულმა რესპუბლიკამ.

სომხურ-რუსული პრესა ლტოლვილთა სახელით იწვევს ღვთის რისხვას ჩვენს თავზე, მაგრამ სწორეთ ესაა უკიდურესი უტიფრობა!.. ჩვენმა მეზობლებმა კარგათ უნდა იცოდენ, რომ არც ერთი სახელმწიფო არაა უცხო ტომის ლტოლვილთაგან ისე შევიწროვებული, როგორც საქართველო; მათ უნდა იცოდნენ, რომ, სანოვაგის ნაკლებობის გამო, კარგა ხანია, აღარც ერთი სახელმწიფო აღარ იკარებს ლტოლვილებს. სამი დღე და ღამე რომ იდგეთ ყინვაზე დაჩოქილი შვეციის საზღვარზე, იგი მაინც არ შეგიშვებსთ თავის ნეიტრალურ ნიადაგზე. ფინლანდიის სამოქალაქო ომის დროს ბევრმა ლტოლვილთა ჯგუფმა სცადა დაუკითხავათ ჰსტუმრებოდა შვეციას, მაგრამ ფინელები „ზალპებით“ შეხვდნენ.

როდის და ვინ შეგხვდათ თქვენ, დევნილო მეზობლებო, ქართულ საზღვარზე ამ გვარათ ან თუ გგონიათ რომ ჩვენში სანოვაგე უფრო იაფი იყოს, ვიდრე შვეციაში? მაგრამ რაღა ბურჟუაზიული შვეციას მივადექით. აი თქვენ მიერ პატივცემული „სოვეტსკაია როსსიაც“. სამხრეთის ფრონტის უფროსი კალნინი ექვსი თვის წინ შემდეგსა სწერდა: ლტოლვილებმა არ გაბედონ და ფეხი არ შემოდგან ჩემს რაიონში, თორემ დავიჭერ და მტრის ტყვიის ქვეშ ვაიძულებ თხრილები თხარონ“. როდის გაძრათ თქვენ, დევნილო მეზობლებო, ასეთი რამ ქართულმა მთავრობამ ან მისმა სარდალმა?

მაშ რაღა დავუშავეთ ჩვენ ჩვენს მეზობლებს? ის, რომ დაღმიდან აღმა წყალი ავუმღვრიეთ, [illegible] ფერი.

უმჯობესია, კითხვა სულ სხვანაირათ დაისვას. რა სურთ მათ? აი რა უნდა ვიკითხოთ და პასუხიც გაგვიადვილდება, რა სურთ მათ? სულ ცოტა რამ: ქართული გეგემონიის დამხობა საქართველოში. მათ კარგათ იციან, რომ არა-ქართული ტფილისი და მისნი შემოგარენი მუდამ სომხურნი იქნებიან, ვის ხელშიაც უნდა გადავიდნენ-ინტერნაციონალურ კომმისიისა, ჩინელებისა თუ ინგლისელებისა. სომხის ნაციონალისტები ოდითვე ნაცად გზას ადგანან მიზნის განსახორციელებლათ.

აი მაგალითიცა. 1905 წელს, მარიამობისთვის დამდეგს ისინი დაეცნენ სტამბოლში სახელმწიფო ბანკს. აღელვებული ხალხი დაერია სომხებს და ღვთის რისხვა მოავლინა მათს თავზე. მაგრამ შედეგი ამისა ის იყო, რომ ევროპამ გამოგზავნა თავისი გემები ოსმალეთში და ძალდატანებით განახორციელებინა პორტას „სომხეთის რეფორმები“.

ქართულ მასშტაბზე რომ გადმოვიტანოთ ეს ამბავი, იმ დასკვნას მივიღებთ, რომელსაც აუცილებლივ ადგანან სომხის ნაციონალისტები: თუ დავამხეთ ქართული გეგემონია, ხომ რა კარგი, თუ არა და მდგომარეობას მაინც შევქმნით იმდენათ დაუდეგარს, რომ აუცილებელ ვჰყოფთ უცხოელები ჩაერივნენ საქმეში,—ეს უკვე სომხური რეფორმა იქნება.

უბადრუკნო, თქვენ ბევრი რამ გავიწყდებათ... პოლონელი ებრაელები იტყვიან თავის თავზე: „რაც გინდ მოხდეს, იცეკს მოხვდესო“. თქვენის წყალობით, თქვენზედაც კარგათაა გამოჭრილი ეს ანდაზა. მაშ რაღათ არყევთ იმ კედელს რომლის ნანგრევები თქვენვე გაგსრესთ პირველათ.

**პერეგრინუს.**

## მსოფლიო ომი

მოულოდნელათ ატყდა 1914 წელში და მოულოდნელათვე შესწყდა ამ რამდენისამე დღის წინ. მოკავშირეთაგან მიტოვებული გერმანია დაბოლოს სულ მარტო დარჩა ბრძოლის ველზე თავის მოპირდაპირეების წინაშე. სამხედრო განადგურების მოლოდინმა და შინაგანმა არეულობამ, რომელმაც რევოლიუციის ხასიათი მიიღო, აიძულა იგი ქედი მოეხარა მოპირდაპირეებს წინაშე და დასთანხმებულიყო მათს პირობებს. შესწყდა ზარბაზნების გრიალი, წინაწარი ზავი უკვე ხელმოწერილია ამა თვის 11-დან. მსოფლიო ომი, ამ გვარათ, 4 წელიწადს და ოთხ თვეს გაგრძელდა. ხანგრძლივობით იგი, მაშასადამე, ყველა ახალ დროის ომებს აღემატება და მხოლოთ ნაპოლეონის ეპოქის ომებს ჩამოუვარდება. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნაპოლეონის დროს ომები არ იყვნენ მუდმივნი არამედ ხანგამოშვებითნი, მაშინ ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მე XIX და მე-XX საუკუნის

ომებში ყველაზე ხანგრძლივი დღევანდელი ომი იყო. მონაწილეთა რიცხვითაც იშვიათი იყო ეს ომი. ცენტრალურ კავშირში შედიოდენ, როგორც ვიცით, გერმანია, ავსტრო-უნგრია, ოსმალეთი და ბოლგარია. ე. ი. 4 სახელმწიფო. შეთანხმების კავშირში კი ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, შეერთებული შტატები, იაპონია, რუმინია, სერბია, საბერძნეთი, პორტუგალია და მონტენეგრო. ე. ი. 12 სახელმწიფო, თუ სიამსა და სამხრეთ ამერიკის პატარა რესპუბლიკებს არ მივიღებთ მხედველობაში. სულ, მაშასადამე, ომში 16-ზე მეტი სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას. ეს რიცხვი ბევრით აღემატება იმ „ათ-თორმეტ ენათა“ რიცხვს, რომელნიც რუსეთის დაპყრობაში იღებდენ მონაწილეობას ნაპოლეონის დროს. საუბედუროთ, დღეს-დღეობით არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ თუ რამდენმა კაცმა მიიღო მონაწილეობა მასში დასაწყისიდან მის უკანასკნელ დღემდე. მაგრამ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ მონაწილეთა რიცხვით მას ვერც ერთი წინანდელი ომი ვერ შეედრება, რადგან მას ჯარები კი არა, შეიარაღებული ერები აწარმოებდენ. რაკი მეომართა რიცხვი ძალიან დიდი იყო, ამიტომ დახოცილთა, დაჭრილთა და დატყვევებულთა რიცხვიც უზომო აღმოჩნდა.

ეს ომი იმ ტეხნიკური საშუალებებითაც, რომელთაც იგი ხმარობდა, დიდათ განსხვავდება სხვათაგან. მოვიგონოთ მოძრავი ციხეები ტანკები, რომელთაც ვერაფერი იმაგრებდა, ნაღმის მფრქვეველები, მახრჩობელა გაზები და სხვა.

კაცი იფიქრებს, კულტურისა და პროგრესის მიზანი თითქოს ისეთი იარაღების მოგონება ყოფილიყოს, რომელთაც მისივე სახელი უნდა გაგიწყოთ ქვეყანაზე. დააკვირდით მარტო ზარბაზნებს. რა ჯურის არ არიან ისინი. სულ პატარებიდან დაწყებული 14—15 დიუმიანებამდე. უკანასკნელთა ნასროლი ბოლის დროს ისეთ სისწრაფეს აღწევდა, რომელზედაც წინათ წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ. მოიგონეთ, რომ მათი ტყვიები იმდენ ლითონს სტყორცნიდენ რომ თვით ბრძოლის ველს უცვლიდენ ხოლმე სახეს და ორმო-თხრილებით ჰფარავდენ მას სავსებით. ამის გვარი არა უნახავს რა წარსულ ომებს. წარსული ომი რამდენსამე ფრონტზე სწარმოებდა. თითეული ასეთი ფრონტი ხშირათ აზიის ან ევროპის უზარმაზარ ნაწილებს მოიცავდა. თვით მებრძოლთაგან აღვსილი ბრძოლის ველი ხანდახან რამდენსამე ას ვერსზე გრძელდებოდა.

ამ გვარი ბრძოლის ველები ან ფრონტები ქვეყნიერობას არ მოსწრებია დიდიდან მისი არსებობისა. რამდენი ძალა და ფული დახარჯა მოქიშპე მხარეებმა; არ არის ისეთი დარგი ადამიანის ცხოვრებაში, რომელზედაც ამ ომს გავლენა არ ჰქონებოდეს.

უზარმაზარი ჯარების შენახვამ. მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ სრულიათ შეარყია სახელმწიფოთა ეკონომიური მდგომარეობა. რის შემდეგ შინაურს პოლიტიკურ ცხოვრებასაც დაეტყო დაუდევრობა, დაემხო რუსეთი, დაინგრა ჰაბსბურგების ძალზე შეკოწიწებული იმპერია, მისთან გასწორდა ჰოჰენცოლერნების გვარი და მთელს გერმანიის მოდებული აქვს პოლიტიკური რევოლიუციის ალი.

წინასწარმეტყველობა არაა იმის სათქმელათ საჭირო, რომ ასეთივე ამბები იწვნენ თავს საფრანგეთსა და ინგლისში, რომელთაც უდიდესი მსხვერპლი შესწირეს [illegible].

შედეგი ამ ომისა იქნება ევროპის [illegible] ახალი განაწილება ნაციონალური პრინციპის მიხედვით. ამიერიდგან ომის საკითხი გადასწყდება თვით ხალხის მიერ და არა ერთეულ პიროვნებებისა, რომელთაც აქამდე ებარათ ხალხის ბედ-იღბალი.

უეჭველია, არც ერთ ყოფილს ომს არ შეუცვლია ხალხთა ცხოვრება და მათი ერთად არსებობის პირობები ისე, როგორც დღევანდელმა შესცვალა. არც ერთი წინანდელი ომი არ ყოფილა ასე მდიდარი შედეგებით, რომელნიც ეხებიან ცხოვრების ყოველ მხარეს, როგორც ეს ომი, რომლის უკანასკნელი წუთები ამ რამდენსამე დღისწინ აღსრულდენ დასავლეთ ევროპის მინდვრებზედ.

ამიტომ უწოდებს მას ყველა დიდს და მსოფლიო ომს.

ი—ე.

# სამხედრო საქმე

ომი კაცობრიობის ცხოვრების მოვლენაა. რადგანაც ბუნებაში ბრძოლა ცხოვრებისათვის მუდამ სწარმოებს, კაცობრიობაც, როგორც, საზოგადოთ, ბუნების ნაწილი, იბრძვის ცხოვრებისა და თავის დაცვისათვის. სხვა და სხვა მიზეზების გამო, ეს ბრძოლა გამოიწვევს ხოლმე საერთაშორისო ურთიერთობაში შეტაკებას, რადგანაც სხვა და სხვა ერთა მოთხოვნილებანი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ერნი შეტაკებას, ხშირად, ვერ აიცდენენ ხოლმე მშვიდობიანის გზით და შეთანხმებით. მაშინ აუცილებლათ გაჩნდება ომი, რომლის ასე რი თუ ისეთი გამოსავალი დამოკიდებულია საერთო მდგომარეობისაგან, და, ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ხალხის კულტურულ შეგნებას, აგრეთვე ამ შეგნების ნაყოფს—სწორეთ მოწყობილ და უკეთესათ გაწვრთნილ ჯარს. ამის მაგალითებს დღემუდამ გვაძლევს სამხედრო ისტორია.

ალექსანდრე მაკედონელმა თავის მიზანს მიაღწია, დაიპყრო მთელი მცირე აზია და სპარსეთი, ინდოეთსა და ეგვიპტეშიც გამარჯვებით გაიარა არა მხოლოთ თავის გენიოსურ ნიჭისა და შრომის წყალობით; ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ იმ კარგათ მოწყობილ და გაწვრთნილ ჯარშიაც, რომელიც მას დაუტოვა სიკვდილს შემდეგ მისმა მამამ ფილიპემ. აგრეთვე პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდმა ისარგებლა თავის მამისაგან მომზადებულ ჯარით და იმის წყალობით მარჯვეთ ომობდა. ჩვენ კარგათვე ვიცით, რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ ხოლმე რომაელნი და ბერძენნი ჯარის მოწყობას.

კართაგენსა და რომს შორის ატეხილ ომის დროს ჰანნიბალმა პირდაპირ რომისკენ კი არ გაილაშქრა, არამედ ჯერ ისპანეთს გადავიდა, სადაც თანდათან მოაწყო ჯარი და სხვა და სხვა ბრძოლაში ეს ჯარი გაწვრთნა. მხოლოდ შემდგომ ამისა გაჰბედა გაულაშქრა თავის ძლევა-მოსილ ჯარით რომაელთა წინაღმდეგ, და, როგორც ვიცით, მარჯვეთაც აწარმოებდა ომს მთელ 19 წლის განმავლობაში.

საფრანგეთის დიდ რევოლიუციის დროს ფრანგების ჯარი, როგორც მოგვითხრობენ იმ დროის სამხედრო მწერლები,

ძალიან დასუსტდა სხვა და სხვა მიზეზების გამო და რის გაიგაგდასით უმკლავდებოდა მტერს. 7—10 წლიწადმა განვლო, მანამ ფრანგების ჯარი მოახერხებდა დარაზმულიყო, შეესწავლა ბრძოლა და მხოლოდ მის შემდგომ იწყო გენერალ ბონა-პარტეს მეთაურობით ნაყოფიერი ბრძოლა მტერთან. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ საფრანგეთის ჯარი მეხივით თავს დაატყდა და ზარი დასცა მთელ ევროპას მაშინ, როცა იმპერატორ ნაპოლეონმა, 4 წლის განმავლობაში, ბულონის ბანაკში, თავისებურათ გამართა ლაშქარი და ამ გაწვრთნილ ჯარის საშუალებით გაილაშქრა 1805 წ. ჯერ ავსტრიისა და რუსეთისა და მერმე 1806 წ. პრუსიისა და რუსეთის წინააღმდეგ. აუსტერლიცის ომში ნაპოლეონის გამარჯვებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში, რომ ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე პიტმა უბრძანა თავისს მსახურებს გაეტანათ მის ოთახიდან ევროპის ძველი რუკა, რადგანაც „ეს რუკა ჯერ კიდევ 10 წლის განმავლობაში არ დაგვჭირდებაო“.

ჩვენს დროს, რუსეთ-იაპონის ომში, რუსებმა ვერ გაიმარჯვეს და დამარცხდნენ, სხვა მიზეზთა შორის, იმ მიზეზითაც, რომ იაპონის ჯარი, საზოგადოთ, უფრო უკეთესად მოწყობილი იყო როგორც იარაღით, ისე თავის სამხედრო წესით. და იაპონიამ გაიმარჯვა მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთი ითვლებოდა და მართლადაც იყო უფრო მეტად ძლიერი, ვიდრე იაპონია. ამასვე ვხედავთ 1912 წელს, როდესაც ერთის მხრივ ოსმალნი იბრძოდნენ და მეორე მხრივ ბოლგარნი, სერბნი და ბერძენნი. ამ ომში მცირერიცხოვანთ, მაგრამ უკეთესად მოწყობილთ დაამარცხეს მრავალრიცხოვანი, მაგრამ ძალზე მოუწყობელი მტერი.

თანამედროვე ომში არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ მოკავშირეთა სახელმწიფონი მარჯვეთ ებრძოდნენ შეთანხმების სახელმწიფოთ. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გერმანეთის სამხედრო საქმე დედა-მიწის ზურგზე ყველაზე უკეთესათ იყო მოწყობილი და მხოლოთ ეს არის მიზეზი, რომ გერმანელები ოთხ წლის განმავლობაში თამამათ და მარჯვეთ იბრძოდნენ. ღირსშესანიშნავი მოვლენაა ამ ომისა ისიც, რომ ინგლისსა და ჩრდილო-ამერიკას სამხედრო საქმე თანამედროვე მოთხოვნილებათა თანახმად არა ჰქონდათ დაყენებული. ჩრდილო-ამერიკა, წელიწად-ნახევარი მეტია, რაც ომში ჩაერია და მხოლოთ 3-4 თვეა, რაც მისი ჯარი რეალურათ იღებს მონაწილეობას ომში.

ზემონათქვამიდგან აშკარადა სჩანს და სხვა მსგავსი მაგალითებიც გვარწმუნებენ, რომ ომის ბედი, გარდა სხვა მინაურ მიზეზებისა, საგსებით დამოკიდებულია ჯარის საუკეთესოთ მოწყობისაგან.

არ შეგვიძლიან ოროოდ სიტყვით მაინც არ შევეხოთ ჩვენს სამშობლოსაც. პატარა საქართველოს გარშემო ერტყნენ საშინელნი ძლიერნი მტერნი, რომელნიც არა-ერთხელ სცდილან არა მარტო ჩვენს განადგურებას, არამედ საგსებით ჩვენს მთანთქმას. მაგრამ ჩვენმა ერმა 2000 წლის და მეტის განმავლობაში აქამდის დაიცვა თავისი სჯული, ენა და სახელმწიფოებრიობა. არა გვგონია, ვინმემ ომის მიზეზი გამონახოს იმაში, რომ ვითომც ჩვენნი წინაპარნი გოლიათნი ყოფილიყვნენ და ყოველ იმათთაგანს შესძლებოდა ბ[illegible]ის წინააღმდეგ. არა, ამის მიზეზი სულ სხვა[illegible]. ჩვენი ერი მუდამ ებრძოდა მტერს და ამ გამუდმებულ ბრძოლაში განმტკიცდა და გასალკლდევდა. სწორედ ჩვენ, ქართველებზეა, ზედგამოჭრილი რუს მგოსნის ნათქვამი: „ხვედა რკინისა ამსხვრევს მინას და ჭედავს ფოლადს“.

ჩვენნი წინაპარნი ამ ბოლო მოუღებელ ბრძოლაში ისეთი გულოვანნი და მამაცნი გახდნენ, იმდენი სულიერი ძალა მოიკრიბეს, რომ მტერს არასოდეს უხრიდნენ ქედსა. ხშირათ, მტერთა შემოსევის დროს, ქართველნი, თუ ვერ სძლევდნენ მტერსა ბრძოლის ველზე, ტყესა და მთებს შეეფარებოდნენ, და, როცა წელს მოიმაგრებდნენ და გამოუჩნდებოდათ ვინმე მეთაური, დაეცემოდნენ მტერს და სამშობლოდგან განდევნიდნენ. აქ უნდა დავუმატოთ, რომ ქართველნი არ კმაყოფილდებოდნენ ხოლმე მტრის განდევნით და ხშირადვე გაილაშქრებდნენ ტრაპეზონდს, არზრუმს, იერუსალიმს და თვით ინდოეთშიაც კი, გაუმარჯვნიათ ჩვენს წინაპრებს ვახტანგ გორგასლანის, დავით აღმაშენებელის, თამარ მეფეს, გიორგი სააკაძეს და სხვების დროსაც. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ სპარსეთი და საბერძნეთი საქართველოს არა-ერთხელ სთხოვდნენ ხოლმე დახმარებას, როცა სხვა ქვეყნებს ეომებოდნენ, და ქართველ ჯარს ევალებოდა ხოლმე მოწინავე ჯარის მოქმედებათა აღსრულება.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენის პატარა ერის სამუდამოთ გამარჯვება შედეგი უნდა ყოფილიყო იმ სამხედრო ხელოვნებისა, საქართველოში რომ არსებობდა. ჩვენ ეს აზრი საზოგადოთ გამოვსთქვით, რადგან, სამწუხაროთ, ხელთ არა გვაქვს საკმაო მასალა ამის ვრცლათ გამოკვლევისა და დამტკიცებისათვის. გარდა ამისა, ამ საკითხს ჯერ არ შევეხებით, რადგანაც ამას ბევრი მუშაობა და კვლევა-ძიება სჭირია. მხოლოდ მაინცა გვგონია, რომ ჩვენი სამხედრო ხელოვნება თვითაღორძინდა, სხვასთან დამოუკიდებლათ, და, უსათუოთ, უფრო განვითარდა, ვიდრე მის მეზობელ სახელმწიფოებში.

ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სამხედრო ძალა, ძალა თანამედროვე მოთხოვნილებათა თანახმათ მოწყობილი.

ამ მოთხოვნილებებს და ლაშქრის დარაზმულობას შემდეგს წერილებში შევეხებით.

გ. კ—ძე.

## არარატის რესპუბლიკა

**(სომხის ჯარების მიერ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების გადმოლახვის გამო).**

ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ საქართველოს რესპუბლიკას ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე გამოუჩნდებოდა ისეთი მტერი, როგორიც არარატის რესპუბლიკა; უკვე მთელმა ქვეყანამ იცის, რომ დასახელებულ რესპუბლიკის მმართველებმა გაჰბედეს ქუდულად შემოეყვანათ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯარი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერეკა მდინარე ხრამამდის ჩვენი მოქალაქენი და გადაეყარა ხრამში ჩვენნი ისტორიულნი უფლებანი, ჩვენი ღმობიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი ლურჯა

(ძველი რვეულით)

ჩემო ლურჯავ! საყვარელო, ფაფარ აყრილო,—
გასწი, გაჰქუსლე გზა-შორე, ტანჯვით აღზრდილო.

—

იყავ უსწრაფეს ელვისა, მექარ-გიჟმაჟზე,
აჰუ!.. იხარე, მამღერე დილის რიჟრაჟზე.

—

მსოფლიო ურვა-გოდების ისმის ზარი:—ძინ!
ყელს შემოგეჭდე ლამაზო, ვაშა! აბა, წინ!!!

—

ჩემო რაშო! იჯიხვინე! შესძარ გარემო,
ან მაცოცხლე, ვით კაცს ჰშვენის ან მკალ ბარემ, ო!

—

დაჰკარ!.. დალეწე მონობა, ანგრიე აწმყო;
იქნებ მომავლით ბედნიერი ღირს უკვდავ-მყო.

—

ვერ სძლებს უდაბნოს ეული მხედარი შენი,
გასწი!.. მოგელის მადლობის გვირგვინი მშვენი.

—

და თუ დაეცე უღრანზე, გელიოს ღონე,—
მოკვდი თამამად; არ იყო სულის დამღონე.

—

გადმიშვი ცეცხლში; და სიკვდილს თუ-კი გადვურჩი,—
იქ დამასვენე, სად ხალხი ყიჟინებს ურჩი.

—

იქროლე ლურჯავ! არ შესდგე გზა-ჯვარედინზე
და არ მაგლოვო ტლუ მგზავრი დედის მერდინზე!..

ს. ერთაწმინდელი

და ჩვენი ავტორიტეტი! დიახ, მოხდა გასაოცარი ამბავი! არარატის რესპუბლიკის წინამძღვრებმა მოაწყვეს შეთქმულება საქართველოს დემოკრატიის წინაღმდეგ, და თავიანთ ჟუმადურ წრეებში გაინაწილეს მუშაობა, ამ მუშაობის შემდეგი გახლდათ ისა, რომ ერთი ნაწილი ჯარისა პირდაპირ ავაზაკურათ დაგვეცა თავს სამხრეთის რაიონიდგან, გადმოლახა რესპუბლიკის სამზღვრები და შესცვალა აქ თურქების ასკერები, რომელთაც სომხეთის მანდილოსნებს არა ერთხელ და ორჯელ გადმოაყრევინეს სისხლის ცრემლები, და იწყო პარპაშობა სხვის ეზოში; ასკერების მიმბაძველებმა მიაშურეს ქებერნის ხიდს და ჩვენს ჯარის-კაცებს დაუპირეს იარაღის აყრა. და ამასთანავე „განაცექ“-ო (გაეთრიეთ აქედგანო) მისძახოდნენ ჩვენებს. ამავე დროს სწორედ ზურგს უკან, ქალაქ ყაზახიდგან 45 ვერსის მოშორებით, ჯარის მეორე ნაწილი შემოგვეპარა. ამ ნაწილს თურმე განძრახვა ქონდა მახვილი ჩაეცა გულში ჩვენის დემოკრატიის დამცველ ჯარისათვის. დაქირავებული აიარები უძღოდენ წინ. (лазутчики). აი მათი ვინაობაც: ახალგაზრდა სტუდენტი არლუთინსკი, ტყაპუჭა-ქალამნებში მოკაზმული, კისრულობს აიარობას და ბორჩალოს მაზრაში დაძვრება; მეორე გმირი სომხის ჯარის აფიცერი, პორუჩიკი ისაგულოვია, ფულით ჯიბა გატენილი. იგიც დათარეშობს და აიარობას ეწევა.

ამ რიგად იყო მოწყობილი საქმე ჩვენი ახალ მტრებისაგან. ეს იგრძნო საქართველოს დემოკრატიამ, და ერთხმად, ერთსულოვანად დაჰგმო არარატის რეპუბლიკის „სამეზობლო“ პოლიტიკა!

უწინ, ქართველ ერს ჰყავდა ძველი ცნობილი მტერი თურქები; დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს მტერი მდინარე კამენკის ხეობაში შემოგვესია, მაგრამ ქართველი ერი თურქებს სთვლიდა ბორიოს მოტანილად, და იმედოვნებდა, რომ ბორიოს მოტანილს ბორიოვე წაიღებდა. ამიტომ კამენკის ხეობაში თურქების შემოსევა ამდენათ არ სჩაგრავდა საქართველოს დემოკრატიის პსიხიკას. როცა კი თავს ქურდულად, ავაზაკურათ გვესხმება მეზობელ რესპუბლიკის ჯარი, აქ ძნელია თავის შეკავება, აღელვებულ გრძნობათა დამშვიდება. მაგრამ აქაც სძლია მტერს საქართველოს დემოკრატიამ და არ დაჰკარგა ჩვეული სიდინჯე; კიდევ და კიდევ სცადა მშვიდობიანის გზით საქმის მოწესრიგება და მხოლოდ მას შემდეგ, როცა აქედან არა გამოვიდა რამ, მიმართა იმ საშუალებას, რომელმაც გადასჭრა კიდეც ეს საკითხი ჩვენდა სასარგებლოთ.

ეხლა ჩვენი ვალია პირნათლად გავამაგროთ ჩვენთა ხელმძღვანელთა პოზიცია, თანაც თვალ-ყური ვადევნოთ ჩვენს სამხრეთ საზღვრებს და ჩვენთვის ძვირფას სახელებად გავიხა-

დოთ: შაგალი, ყალაგირანი, წათერნი, კორინჯი, ქობერნი, ახპატი, შენიხი, აირუმი, აშალი, სერალი, მდინარენი ხრამი და დებედა—ჩაი, რადგან ეს ის ადგილებია, სადაც იყო გამოცდა ჩვენის ნორჩ დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობისა და რომლის დაცვისათვის დაიღვარა საქართველოს რესპუბლიკის უდანაშაულო დემოკრატიის სისხლი.

ექიმი ნ. ერისთავი-შარვაშიძე.



ვ. ვილსონი.

# კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია

ამ დღეებში ტფილისში უნდა გაიხსნას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია, რომლის მოწვევის ინიციატივა ეკუთვნის ჩვენს მთავრობას. კონფერენციას განსახილველი აქვს ბევრი ისეთი კითხვები, რომელთა მშვიდობიან გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ჩვენის ცხოვრების ნორმალური განვითარება, და თუ ამ ფრიად შესანიშნავ კითხვების გადაჭრა კონფერენციამ შესძლო, მაშინ რამოდენიმედ შეგვიმსუბუქდება მძიმე პოლიტიკური ტვირთი. ხოლო თუ ეს კითხვები ვერ გადაწყდა კონფერენციაზე, მაშინ ჩვენსა და ჩვენს მეზობლებს შორის უფრო გაფართოვდება უფსკრული და ეს იქნება ჩვენის მთავრობის მიერ არა კეთილი საქმის დაწყება, არამედ ქვესკნელით ამოძახება მავნე სულთა, რომელთაც ჯერ მხოლოდ მიწა წაყრებიათ და ლამობენ იქიდან ამოძრომას.

თუმცა კონფერენციის მოწვევა ერთობ საჭირო და სადღეისოდ და ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, მაგრამ იბადება კითხვა—შესძლებს კონფერენცია ან მოისურვებს მიაღწიოს თავის მიზანს, თუ არა?

ამისათვის უნდა გავიხსენოთ ის ახლო წარსული, როდესაც ამიერ-კავკასიის მთლიანობა დაინგრა, უნდა გავიხსენოთ აგრეთვე აქაურ ხალხების მიდრეკილების ისტორია და მათი დღევანდელი პოლიტიკური, იურიდიული და კულტურული მდგომარეობა და ჩვენთვის აშკარა იქნება, თუ რა დასკვნამდის მივა კონფერენციის მუშაობა.

თუმცა ამიერ-კავკასია ეკონომიურად, გეოგრაფიულად და სტრატეგიულად ერთ ერთეულს წარმოადგენს, მიუხედავათ ამისა მისი სულიერი კულტურა და ეროვნული მიდრეკილობა იგეთის სახისა აღმოჩნდა, რომ ამიერ-კავკასიის ერებმა ერთ ფარგალში ცხოვრება ვერ შესძლეს და ერთად ცხოვრების შეუძლებლობა დღესაც არ შეცვლილა; პირიქით უფრო გართულდა და აი რატომ. როგორც აზერბეიჯანი, ისე სომხეთი და მთიელები ჯერ კიდევ იურიდიულ სახეს არ წარმოადგენენ და არ ვიცით, რანაირი პოლიტიკური ცხოვრება სურთ მათ. როდესაც ოსმალეთი ჩვენში შემოიჭრა და აზერბეიჯანი მას მიეგებლა, მაშინ ჩვენ ვიცოდით, სად მიდიოდა და რა უნდოდა ოსმალეთს, და ჩვენც ერთგვარ გარკვეულ პოზიციაზედ შეგვეძლო ვმდგარიყავით; მაგრამ ეხლა სურათი სრულებით შეიცვალა და არც ჩვენ და არც თვითონ აზერბეიჯანმა იცის, რას წარმოადგენს ის დღეს. დამოუკიდებლობა არ მოინდომა და ოსმა-

# სამხედრო წყობილება

საქართველოში*) მეფე ერეკლეს დროს**).

(ისტორიული მიმოხილვა)

მეთვრამეტე საუკუნეში საქართველო იყოფოდა ექვს სამხედრო ოლქად ანუ ნაწილად. ოთხი მათგანი იყო ქართლში და ორი კახეთში. თვითეულ ნაწილს ჰყავდა თავისი უფროსი, რომელსაც სახელად ეწოდებოდა **სარდალი.**

ისინი ინიშნებოდენ ქართველ გამოჩენილ თავადების გვარებიდან. ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა მათს შვილებზე.

თავად-აზნაურები, რომელთაც კი ამ სამხედრო ოლქებში ჰქონდათ მამული, ვალდებულნი იყვნენ, როგორც კი ომი გამოცხადდებოდა, თავიანთის შეიარაღებულ გლეხებით შეერთდებოდნენ თავის სარდლის ჯარს.

მეფე ყოველთვის ბრძანებას გასცემდა, თუ რომელ ნაწილიდან რამდენი ჯარი უნდა გამოსულიყო. ჯარებს უნდა ჰქონოდათ თავისი იარაღი და სურსათი და მთელ ომიანობის განმავლობაში ისინი თავიანთ სარდლებს ემორჩილებოდნენ.

მცხოვრებლები ქალაქისა და იმ ადგილებისა, სადაც ნაკლები პურის მოსავალი იცოდა, (განსაკუთრებით ოსები), სურსათს ომის დროს მეფისაგან ღებულობდნენ. ძველ ქართულ ადათით, ჯარი ვალდებული იყო თავის სარდლისათვის მიერთმია ერთი მეხუთედი ნაწილი სამხედრო დავლისა.

მთელ ქართლ-კახეთის ლაშქარი თავს რომ მოიყრიდა ერთ დანიშნულ ადგილზე, შემდეგნაირად დაეწყობოდა ხოლმე:

**მოწინავე რაზმი.** ის შესდგებოდა: ა) ქვემო-ქართლის ჯარებისაგან, სარდალ თავ. ორბელიანის უფროსობით, რომელსაც ექვემდებარებოდა ექვსი სხვა თავადთა გვარი. ბ) ქვემო-კახეთის-ქიზიყის ჯარებისაგან, სარდლისა და მოურავ თავ. ანდრონიკაშვილის უფროსობით.

**დიდი რაზმი.** მისი შემადგენლობა ასეთი იყო: ა) ქართლის ჯარები იმ სოფლებიდან, რომლებიც მტკვრის

*) იგულისხმება მარტო ქართლ-კახეთი.

**) დუბროვინი—წიგნი 1. და ვ. ე. რომანოვსკი—საქართველოს ისტორიიდან.

დეთ შეუერთდა, მაგრამ ეხლა ოსმალეთთან ის ფაქტიურათ აღარ არის, აღარც რუსეთთან იმყოფება; თავის დამოუკიდებლობა, კულტურულ ძალების უქონლობის გამო, ვერ შეძლო, და საეჭვოც არის, რომ ოდესმე შეძლოს, და ამ რიგათ ადერბეიჯანი შეიქმნა ყოვლად უსახო და იურიდიულ ფორმას და სახელმწიფოებრივ ნებისყოფას მოკლებული, გარიყული პოლიტიკური ორგანიზმი.

უკეთეს პირობებში არც სომხებიც იმყოფებიან. მათ ყველა ეზარებათ: ქართველებიც, ოსმალოებიც, რუსებიც, ინგლისელებიც და სხვა, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრათ, იმავე დროს მას მაინც ყველა უყვარს: რუსეთიც, ოსმალეთიც, ინგლისიც და ადერბეიჯანსაც შეიყვარებს, თუ საჭიროდ დაინახა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ, ამ უკანასკნელ ხანებში, ჩვენს შორის მომხდარ უთანხმოების დროს, მათი ჯარი ყაზახის მაზრიდგან ჩვენებს თავს დაესხა, და ყველა ეს მოხდა ადერბეიჯანის რესპუბლიკისაგან. მას ყველა უყვარს და ყველა სძულს, მაგრამ, ყველაზედ უფრო კი, როგორც ეტყობა, თავის დამოუკიდებლობა ეზიზღება, და ამისათვისაა, რომ მაინც და მაინც თავს არ იტკენს, შექმნას საფუძვლიანი სახელმწიფოს ორგანიზმი და რაღასაც ელის, მაგრამ ჯერ არავისთან არის და არც ვიცით, ვის ამოირჩევს თავის საქმროდ. ასე რომ სომხეთი არ წარმოადგენს რასმე გარკვეულ პოლიტიკურ ორგანიზმს, მტკიცე სახელმწიფოებრივ სურვილებით.

მთიელები კი ყველა ზევით ჩამოთვლილ ხალხებზედ ცუდს პირობებში იმყოფებიან, მაგრამ სურვილი კი ყველაზედ მეტი აქვსთ დამოუკიდებლობისა და ამიერ-კავკასიასთან ფედერატიულათ შეკავშირებისა. მაგრამ ეს არის სამწუხარო, რომ ღმერთი სრულებით არ წყალობსთ, წარმოადგენენ უისტორიო ხალხს, არა აქვსთ თავისი საკუთარი ანბანი, თანაც მოსაზღვრედ ჰყავსთ დიდი რუსეთი, კერძოთ კი ყაზახები. მათი გადაყლაპვა ერთნაირათ სურთ როგორც ბოლშევიკებს, ისე შავ რუსეთსაც. საკმარისია, რუსეთში ბოლშევიზმი დამარცხდეს, რომელსაც ეხლა უმრავლესობა მთიელებისა, პოლიტიკური მოსაზრებით, უკავშირდება, და მაინც გაანადგურებს შავი რუსეთი, ასე რომ მომავალ რუსეთში ამ ხალხს ყველაზედ მეტი საფრთხე მოელის.

სახელმწიფოებრივის თვალთაზრისით მთიელნი სულ არარაობას წარმოადგენენ; გამოყოფით რუსეთს ჯერაც არ გამოჰყოფიან და სახელმწიფოებრივი ორგანოები არ შეუქმნიათ. ასე რომ ჯერ იურიდიულადაც და ფაქტიურადაც რუსეთის ნაწილს შეადგენენ, და საფიქრებელია, რომ ამ გარემოებამ სადაოდ გადაქციოს კონფერენციის ნამუშავარი.

თუ ყოველსავე ამას მივაქცევთ ყურადღებას, ფრიად საინტერესო სურათი წარმოგვიდგება, სახელდობრ ის, რომ საქართველოს ირგვლივ შემოჯარული ყავს მოსაზღვრე რესპუბლიკები, რომელთაც არ ჰსურდათ დამოუკიდებელი არსებობა და, იქნებ არც მოსწონდეთ ესეთი ცხოვრება, მაგრამ დღეს ფაქტიურად დამოუკიდებელნი არიან, მიუხედავად მათის იურიდიულ უსახეობისა. და ჩვენც სწორეთ ასეთ სახელმწიფოებთან გვექნება დღეს ლაპარაკი.

მათთან დადებულ ხელშეკრულობას არავითარი იურიდიული ძალა ექნება, ვინაიდგან თვით პირობის დამდები სუბიექტი სახელმწიფო იურიდიული თვალთაზრისით არ არსებობს და თუ რაიმე შეთანხმება მოხდა, მაშინ ცხოვრებაში ამ შემთხვევების გასატარებლად ჩვენ ისეთ პირობებში ჩავვარდებით, როგორც გერმანეთი და საქართველო პირველ ხანებში.

შევძლებთ ასეთ დიდ როლის შესრულებას, თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მიუხედავათ ამისა, რომ ადერბეიჯანი და სომხეთი არ წარმოადგენენ გარკვეულ იურიდიულ სახეს და არა აქვთ მტკიცე პოლიტიკური ნებისყოფა, პრეტენზიები მაინც ბევრი

---

მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდნენ, სარდალ თავ. ციციშვილის უფროსობით, რომელსაც ემორჩილებოდა კიდევ ოთხი თავადთა გვარი. ბ) ზემო კახეთის ჯარები— თუშ-ფშავ-ხევსურნი, მოურავ თავ. ჩოლოყაშვილის უფროსობით.

ამ რაზმს წინამძღოლობდა თითონ მეფე.

**მარჯვენა ფრთა.** მას შეადგენდნენ: ა) შუა-ქართლის ჯარები—სარდალ და მოურავ თავ. ამილახვრის უფროსობით, რომელსაც ემორჩილებოდა 14 სხვა თავადთა გვარი; ბ) შუა-კახეთის ჯარები, რომელთაც ერთი იქაური თავადთაგანი უფროსობდა. ამ ჯარის ნაწილთან იმყოფებოდნენ: ჩვეულებრივ მეფის მემკვიდრე და რუსთავის მთავარ-ეპისკოპოზი.

ამ უკანასკნელს ეს უპირატესობა ოდითვე ჰქონდა მინიჭებული, სახსოვრად იმ სამხედრო სამსახურისა, რომელიც საქართველოს ამ ეპარქიის ერთმა მთავარ-ეპისკოპოზმა გაუწია.

**მარცხენა ფრთა.** მას შეადგენენ: ზემო ქართლისა და მუხრანის ჯარები, სარდალ მუხრან-ბატონის უფროსობით, რომელსაც ემორჩილებოდნენ ქსნისა და არაგვის ერისთავები.

თათრის ჯარები ცალკე ერთეულს შეადგენდნენ. ყაზახის თათრები თავისის მოურავებით იდგნენ მარჯვენა ფრთის მარჯვენა წვერზე. ბორჩალოს თათრები კი— მარცხენა ფრთის მარცხენა წვერზე.

მე XVIII-საუკ. ბოლოს ქართველ ჯარს არტილერიაცა ჰქონდა. იგი მოაწყო მეფე ერეკლემ 1770 წელს. არტილერია თუმცა მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მაინც დიდი სახელი მოუხვეჭა ქართველ ჯარს; არტილერია თავდაპირველად სულ ათ ზარბაზნისა და 60 კაცისაგან შესდგებოდა. არტილერიის დაარსება ასე მოხდა. რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა თავადი პაატა ანდრონიკაშვილი, რომელიც რუსეთში არტილერიაში მსახურობდა და მისი საქმე ესმოდა. მეფე ერეკლემ პაატა ანდრონიკაშვილს მიანდო არტილერიის მოწყობა და უბოძა არტილერიის უფროსობა და სახელწოდება **თოფჩი-ბაშობა.** ამ სახელს, ბოლოს, თითონ მეფეც ატარებდა.

პ. ანდრონიკაშვილმა მოაწყო თბილისში ზარბაზნის ჩამოსასხმელი ქარხანა, ამ ქარხანაში სპილენძის ზარბაზნებს დაუწყეს კეთება, აკეთებდნენ უბრალო ზარბაზნებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ და დავის სურვილი უფრო მეტი, რაც ყველაზედ უფრო მწვავეთ სახელმწიფოს საზღვრებში გამოისახება და ეს საკითხი კი გადამჭრელ მომენტად შეიქნება კონფერენციაზედ და, ადვილათ შესაძლებელია, კიდევაც დაშალოს კონფერენციის მუშაობა, მიუხედავათ იმისა, რომ ზღვაში გასავალ გზის პრობლემას უფრო მეტი დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვიდრე საძვრებს.

# ჩვენს ოფიცრებს

„პურ-მარილი ქვაზე დადე,
გაიარე—წინ დაგხვდებაო“.

თქვე დალოცვილებო, თითო-თითო გამომდგარხართ და პორუსკობთ, თითქოს არ უმლიდნენო.

გეტყვისთ კაცი—ილაპარაკე ქართულ ათო, „ნე ზნაიუ“,—ისე მოსხლეტით იტყვით, თითქოს ჩინურ ენაზე იყოს ლაპარაკი.

— სამშობლო ენაა, სამშობლო! როგორ თუ არ იცი!.. უნდა იცოდე, რადგანაც მისი ცოდნა არამც თუ სიკეთეა, წმიდა მოვალეობაცაა!..

მართალია, ზოგმა ჩვენთაგანმა, სამშობლო ენის დავიწყებით, დიდს ღირსებას და წარჩინებას მიაღწია, მაგრამ უმრავლესობას საყველპურო რუსულის შესწავლა და თავის ენის ვითომდა დავიწყება ლა შერჩა ხელში, ისე რომ ვერც ჩიჩია იპოვეს და ვერც ბაბა.

ზედ გამოჭრილია ამისთანა ქართველებზე ერთ ბერის ანდაზა:

— ბერო, შენს მადლსა, მიპასუხე, ღმერთი არავის უნახავს, საიქიოდან არავინ დაბრუნებულა და რათა ლოცულობ ამდენსა და დროსა ჰკარგავო?

— შვილო, —უპასუხა ბერმა, —თუ ღმერთი არის, ლოცვა ძიშველის, თუ არ არის,—რასა ვზარალობო!

მართალია, სამშობლოს განთავისუფლება და საქართველოს რესპუბლიკობა თქვენთვის უხილავი ღმერთი იყო, მაგრამ რაც იყო და არ წაშლილა დედამიწის ზურგიდგან, განა საკმარისი არ იყო, რომ ბერის ნახევრის ოდენა მეცადინეობა მაინც მოგემდომებინათ სამშობლო ენის შენარჩუნებისთვის.

მძიმე არტილერია

# კავკასიის ერთობა.

წარსულ კვირას ტფილისში უნდა გახსნილიყო კავკასიის მკვიდრთა წარმომადგენლების კონფერენცია, მაგრამ, როგორც სჩანს, საქმე გედარ მოგვარდა. არ ვიცით, დროებით შეჩერდა ამ კონფერენციის მოწვევა, თუ სამუდამოთ ჩაიფუშა. ის კი ვიცით, რომ მას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა არა თუ სადღეისო ურთიერთობის მოსაწესრიგებლათ, არამედ ჩვენი სამარადისო არსებობის განსამტკიცებლათაც.

დღემდის ისე იყო, რომ პატარა ერების ავკარგი დიდსახელმწიფოების ნებაზე იყო დამოკიდებული, რომელიც თავის ჭკუაზე აწარმოებდა მის ბედიღბალს.

დღევანდელმა უმაგალითო ომმა ბევრი რამ შესცვალა. იმედია, იგი პატარა ერთა ბედიღბალსაც შესცვლის სამუდამოთ. მან აშკარათ დაანახვა ყველას, რომ იარაღით ხელში საერთაშორისო კითხვების გადაჭრა აბსურდია, და ნიადაგი განუმზადა იმ საერთაშორისო კავშირს, რომელმაც ძმობა და ერთობა თუ

მორტირებს და ყუმბარებს. ზარბაზნებს ევროპიულ ნიმუშზე აკეთებდნენ.

ანდრონიკაშვილმა ზარბაზნების რიცხვი 15-დე აიყვანა. 1784 წელს, რუსის იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ მეფე ერეკლეს 24 ზარბაზანი საჩუქრად გამოუგზავნა. 12 ზარბაზანი აქედან ჩვენს მომქმედ არტილერიას მიუმატეს.

დანარჩენ ზარბაზნებზე არაფერია ნათქვამი, ალბად, არ გამოდგა.

არტილერიაში მოსამსახურეთათვის ქართველ ჯარში ახალი რუსული ხარისხები შემოიღეს: **მაიორის, კაპიტანი, პორუჩიკი დ` სერჟანტი.**

ჯარის კაცების საერთო წოდება **თოფჩი** იყო. მათი რიცხვი 100 კაცს ცოტათი აღემატებოდა. მომეტებული ნაწილი ამ **თოფჩებისა** შესდგებოდა იმ რუსის ჯ.-კაცებისაგან, რომლებიც 1769–1787 წლებში გაიქცნენ რუსის რაზმებიდან მათი აქ ყოფნის დროს და საქართველოში დაბრუნდნენ. ზოგი მათგანი კი მეფესაგან იყვნენ გამოსყიდულნი მთიელთა ტყვეობიდან. 1794 წელს მათი რიცხვი 475 კაცამდის ავიდა. მომეტებულმა ნაწილმა ქართველი ქალები შეირთო ცოლებად და საქართველოში დარჩა სამუდამოთ.

მთავარი ნაკლი ჩვენის არტილერიისა ის იყო, რომ ყოველგვარ ზარბაზნებს კურტნიან ცხენებით ატარებდნენ.

ერეკლე მეფის სიკვდილს შემდეგ, მეფე გიორგიმ არტილერიის უფროსად თავისი შვილი იოანე გახადა და უბოძა ,,ფელდცეხმეისტრობა‘‘.

ოფიცრებად არტილერიაში მარტო თავად აზნაურებს იღებდნენ, ჯარის-კაცებად კი—ყველა წოდებისას.

ქართულ ჯარში შემდეგი ჩინები (ხარისხები) არსებობდა.

ა) **სარდალი** სრული გენერალი. ეს უმაღლესი ჩინი იყო, ეძლეოდა მხოლოდ გამოჩენილ თავადთა გვარებს და გადადიოდა მემკვიდრეობით მათს შვილებზე. ასეთ თავადთა გვარ.ი ქართლში ოთხი იყო და კახეთში ერთი.

ბ) **მინ-ბაში** ანუ **ათასის-თავი.** ესენი სარდლებს ემორჩილებოდნენ და მუდამ მზად იყვნენ საომრათ. თვითეულ სარდალს ჰყავდა იმდენი **მინ-ბაში**, რამდენიც მის

არა, სოლიდარობა მაინც უნდა განმტკიცდეს ხალხთა-შორის. სწორედ ასეთ კავშირისათვის უნდა იფიქრონ პატარა ერებმაც. სწორედ ასეთ კავშირს შეუძლია საკუთარ ფეხზე დააყენოს კავკასიაც და ააცდინოს იგი უცხოთა ზეგავლენას. ასეთის კავშირის შექმნა უნდა ყოფილიყო, ჩვენის აზრით, კონფერენციის მიზანი.

ჩვენა ვფიქრობთ, კავკასიელთ შესწევთ როგორც მორალურათ, ისე ფიზიკურათ ძალა ლაგამი ასდონ ყოველგვარ გარეშე ზეგავლენას. მაგრამ ამისთვის ერთობაა საჭირო. თუ კავკასიელ არწივებსა სურსთ თავისუფლათ ინავარდონ კავკასიონის მთებზე, უნდა შეერთდნენ.

ვინც ამ ერთობას ხელს შეუშლის, ის მოღალატეა სხვისა და თავის თავისაცა. ერთობის ზარი ახლაც ქართველმა ხალხმა ჩამორეკა, მას, იმედია, გვერდთ ამოუდგებიან მისი უძველესი მეზობლები, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები, რომელნიც რამდენათაც ვიცით, თანაგრძნობით უყურებენ ჩვენთან შეერთებას. იმედია, ბნელი ძალები ვერ ჩასტეხენ ჩვენსა და ჩვენს მეზობლებს შორის უკვე დაზიანებულს ხიდს და კონფერენცია შესძლებს აღასრულოს თავისი მაღალი დანიშნულება.

**ჯარის კაცი ი. სირაძე.**

## რა გზით უნდა ვიხსნათ თავი ფინანსიურ გასაჭირისაგან.

1

კრედიტის მოპოება სახელმწიფოსთვის იგივე ფორმალური პირობებით არის გარემოცული, როგორითაც კერძო პირთათვის ბანკში კრედიტის გახსნა. საკმარისი არ არის, რომ კრედიტის მთხოვნელი ქონების პატრონი იყოს, საჭიროა კიდევ იცოდნენ, თუ როგორ სარგებლობს იგი ამ ქონებით. დღევანდელი ჩვენი სახელმწიფოებრივი ვითარება ამ მხრივ ვერ დასტოვებს უცხო კაპიტალისტებზედ სასურველ შთაბეჭდილებას, ბ. ნ. ნიკოლაძე, უიჭველია, გამოცდილი [illegible] და საქმის კაცი, მაგრამ ისიც უიჭველია, რომ [illegible] ველობა ვერ გაუფუანტავდა ამ შთაბეჭდილებას უცხოელ კაპიტალისტებს. მართლაც, დამალული ხომ არავისთვის არ არის, რომ ნახევარ წლის დამოუკიდებელ არსებობამ ჯერ-ჯერობით ნახევარ მილიარდის მანეთის ვალი წამოგვადო ბონების სახით. მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ეს ვალი მარტო ჩვენმა მთავრობამ კი არ აიღო, არამედ აწ განსვენებულ ამიერ-კავკასიის მთავრობასაც უდევს წილი; ვიცით ისიც, რომ ეს ვალი ჩვენმა მეზობლებმაც უნდა გაინაწილონ, მაგრამ ვერც ერთი ჩვენთაგანი გულზედ ხელის დადებით ვერ იტყვის, თუ საბოლოოდ ვინ აგებს პასუხს ამ ვალის წინაშე. მოდით და ამის შემდეგ უცხოელი კაპიტალისტები დააჯერეთ, რომ მაინც და მაინც, ამ ვალს ყოფილი რუსეთის ქონება სავსებით აგვინაზღაურებს

წარმოდგენილი მაქვს ის უხერხული მდგომარეობა, რომელსაც განიცდიდა საქ. დემ. რესპუბლიკის წარმომადგენელი უცხოელ კაპიტალისტებთან მოლაპარაკების დროს:

— თქვენი მთავრობა ომს აწარმოებს?

— **არა, ბატონო, ჩვენი რესპუბლიკა ნეიტრალობას** იცავს.

— **ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენი მთავრობა ჯარს აგზავნის** ტუაპსესაკენ, ვლადიკავკავისაკენ. .

— მართალია; მხოლოდ ეს ისე... საზღვრების დასაცავად, ბოლშევიკების შემოსევის წინაამდეგ.

— ლეჩხუმში და ცხინვალში რაღა ამბებია?

— იქაც ბოლშევიკური მოძრაობაა.,.

— კეთილ ინებეთ და გაგვაცანით სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა.

— **სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა! ჩვენს მთავრობას იგი ჯერ არ შეუდგენია.**

— ?! **დაახლოვებითაც არ გაქვთ გათვალისწინებული, თუ რა შემოსავალი და ხარჯი ექმნება საქ. რესპუბლიკას? ან რა იქნება უმთავრესი შემოსავლის წყარო? ან თუ რა სისტემაზე იქნება დამყარებული სახელმწიფო მეურნეობა?**

— **სამწუხაროდ, ჯერ დაახლოვებითაც არ გვაქვს** გამოანგარიშებული არც ხარჯები და არც შემოსავალი, მხოლოდ

---

ხელქვეით. ჯარს შეეფერებოდა ომიანობის დროს. ზოგს სამი და ზოგსაც—ნაკლები.

გ) **ხუთასის თავი ანუ გუნდისთავი**

დ) **ასის-თავი ანუ იუზბაში.**

ე) **ათის-თავი ანუ ონ-ბაში.**

მეფე ერეკლეს ჯარი 10,000 კაცს ძვირად აღემატებოდა. მდინარე თერგისა, არაგვისა და ქსნის ხეობის მცხოვრებნი თავადნი, აზნაურნი, გლეხნი, მსახურნი, თათრები და ოსები ცხენიანათ მსახურობდნენ.

ქვეითა ჯარს შეადგენდნენ: თუშ-ფშავ-ხევსურნი და აგრეთვე ისინი, ვისაც ცხენები არა ჰყავდათ.

**იარაღი.** ჯარი შეიარაღებული იყო თოფებით, ხმლებით, სატევრებით და დამბაჩებით; გარდა ამისა, ხევსურები ომში მუდამ ხმარობდნენ ფარებსა და ჯავშნებს.

**ჯარს** ომში, მომეტებულ ნაწილად, თავისი სურსათი თვითონ მოსდიოდა; ეს იყო მიზეზი, რომ მეფე ერეკლეს, საერთოთ, უძნელდებოდა ხანგრძლივის ომის წარმოება.

მეფე თეიმურაზმა ნახა, რომ მთიელები (არა ქართველები) მუდამ ჩამოდიოდნენ ბარად, სცარცვავდნენ და აოხრებდნენ საქართველოს. ამისათვის მან დააწესა კერძო სამხედრო წოდება—**ნოქარი.** ნოქართა რიცხვი 2000 კაცს უდრიდა. ისინი ვალდებულნი იყვნენ თითო წლით ეყარაულნათ საქართველოს საზღვრებისათვის. ნოქრები იკრიბებოდნენ სახაზინო, საუფლისწულო, საეკლესიო და მემამულეთა სოფლებიდან. საზრდო მათ ხაზინიდან ეძლეოდათ. გარდა ამისა, თვითეულს მათგანს თავიანთ სოფლიდან ეძლეოდა 20—40 მანეთი წლიურად.

მეფე ერეკლემ მოსპო ნოქართა წოდება, მის მაგიერ შემოიღო ხხვა წოდება—**მორიგე.** მორიგეთა მოვალეობა ის იყო, რომ ყოველ მოსახლე ქართველს, სომეხს, თათარს, ოსს, ვისაც კი მიწა ჰქონდა და მისდევდა მეურნეობას, მებაღეობას და საქონლის მოშენებას, ემსახურნა ერთის თვით საზღვარზე, მეფისაგან ნაჩვენებ ადგილზე.

მეფე ერეკლეს სამხედრო წესდებით, რომელიც 1774 წელში გამოიცა, ხალხის მთელი ქონება სამხედრო საბეგაროდ ითვლებოდა. მტერი რომ გადმოლახავდა საქართველოს საზღვრებს, თვითეულ ოჯახიდან მტრის შესახვედრათ თითო კაცი უნდა გამოსულიყო.

ჩვენს მთავრობას განზრახვა აქვს გადასახადები დააწესოს შემოსავალის დაგვარად, რა მიზნისათვის ახლო მომავალში იგი შეუდგება ხაბალხო მეურნეობის და სიმდიდრის სტატისტიკურ აღწერას.

— მაშ თქვენი მთავრობა ჯერ არ შესდგომია გადასახადების აკრებას?

— არა; რადგან ზოგიერთ კუთხეებში ბოლშევიკების მ ერ ანარქიულ ი მდგომარეობა შექმნილი.

— მაშ რა საშუალებით არსებობს სახელმწიფო?

— ფულის მაგიერ ბონებსა ვბეჭდავთ ყოფილ ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით.

— ამიერ-კავკასიის მთავრობა განა კიდევ განაგრძობს არსებობას?

— არა, მხოლოდ ჩვენ მან დაგვიტოვა ფულის საბეჭდავი მანქანა.

— ! არ ემჯობინებოდა სესხის აღება სხვა დროისათვის გადაგედოთ!

— ბატონებო, ჩვენს მთავრობას შეუძლიან მოგცეთ რეალი გარანტია სესხისა; ჩვენი ქვეყანა მდიდარია სხვა და სხვა მადნეულობით.."

— გაგონილი გვაქვს... შავი ქვა...

— ყველა მადნები სახელმწიფო საკუთრებათ არიან აღიარებულნი; ეს ისეთ სიმდიდრეს წარმოადგენს...

— შესაძლებელია; მხოლოდ დღეს-დღეობით ფულის გარანტიად ვერ გამოდგება ის, რაც ჯერ კიდევ დედამიწის გულის საიდუმლოებას შეადგენს.

— ამას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ გვაქვს ჭიათურის რკინის გზის შტო 70 მილიონად ღირსებული, რადგან მისი წლიური წმინდა შემოსავალი $2^1/2$ მილიონ მანეთს შეადგენს, ოქროთი ნაანგარიშევი.

— გვჯერა მისი ასეთი ღირებულობა; მხოლოდ თქვენებური მუშები ისე ხშირად აბდენენ გაფიცვებს, რომ ცარიელ რკინის გზას რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან, თუ რომ გადასაზიდი საქონელი არ იქმნა, დამეთანხმეთ, ბატონო, რომ ამ ძხრით თქვენს მუშებს ნაკლებად აქვთ შეგნება თავიანთი სახელმწიფოებრივ ვალდებულებისა.

ეს დიალოგი იმიტომ არ მოვიყვანე, რომ [illegible] დავსდო ჩვენის სახელმწიფოებრივ ცხოვრების [illegible]ბაში, არამედ იმიტომ, რომ დავანახო, თუ რა [illegible] ლაპარაკს უცხოელი კაპიტალისტები ჩვენს წარმომადგენელს; თორემ ყველამ კარგად იცის, რომ სახელმწიფოს აღმშენებლობა, და ისიც ამ საშინელ მსოფლიო ცეცხლის ტრიალში, ისე ადვილი საქმეც არ არის, როგორც შეიძლება ბევრს ეგონოს. თუ ეს გარემოება გათვალისწინებული ქონდა ჩვენს ფინანსთა მინისტრს ბ. ჟურულს, როგორც მეტად ფრთხილ და წინდახედულ ფინანსისტს, უეჭველია შესაფერ ინსტრუქციებით უნდა აღეჭურვა ჩვენი წარმომადგენლები ბერლინში, რათა, რადაც 7—8 მილიონი მანეთის გულისათვის (რასაც ნი მილიონის ძარკა ნამდვილად უდრის) მთელი ჩვენი სიმდიდრე, რომელმაც დღეს-დღეობით სახელმწიფო უნდა ასაზრდოვოს და მომავალშიაც ეკონომიური წარმოების გზა გაუხსნას მას, უცხო კაპიტალისტების ხელში არ მოჰყვეს და ამით დასაწყისშივე საძირკველი გამოეცალოს ჩვენს დამოუკიდებელ და თავისუფალ ცხოვრებას.

მართალია, ჩვენ ძალიან გვესაჭიროება ფინანსიური დახმარება ისეთი მძლავრი სახელმწიფოსი, როგორიც არის ჩვენი მოკავშირე—გერმანია; ამ ფინანსიურ დახმარებას შეიძლება პოლიტიკური მნიშვნელობაც მივცეთ, იგი იყოს, ასე ვსთქვათ, თავდები ჩვენი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრების გამტკიცებისა; მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი აწინდელი მთავრობა, რა მიიღებს მხედველობაში ყველა გარემოებას და აწონ-დაწონავს ყველა იმ პირობებს, რომლებითაც უეჭველია დაბეგრილი იქნება ამ სესხის მოპოება, იმ დასკვნამდე მივა, რომ დღევანდელი მომენტი შეუფერებელია სესხის აღებისათვის საზღვარ გარედ და რომ საჭიროა სხვაფრივ მოეწყოს საქმეს, რაზედაც შემდეგში ვილაპარაკებთ.

პ. ყ.

## სანაპიროს ჯარის უფროსის ინსტრუქცია.

საბაჟოების და სანაპირო რაზმების განყოფილების, უბნების და სადარაჯო ბინების უფროსებს.

მიღებულს ცნობებით, ის პირნი, რომელნიც მიემგზავრებიან ბაქოს და ალექსანდროპოლ-ერე-

მხოლოდ ვინც ვაჭრობას მისდევდა,—ჰქონდა ნება თავის მაგიერ სხვა დაექირავებინა და გაეგზავნა ომში.

მეფე ერეკლემდე, ჯარის საჭიროებისათვის მცხოვრებლებისაგან იკრიბებოდა გადასახადი—**სურსათი.**

ერეკლემ ეს მოსპო და მორიგეობა შემოიღო.

მორიგეობა დაყოფილი იყო თვიურად პირველ მოთხოვნისათანავე. ყველა ვალდებული იყო გამგზავრებულიყო სასამსახუროთ იმ თვეში, რომელშიაც ის იყო დანიშნული, თავს იყრიდნენ მეფისაგან დანიშნულ ადგილზე. ვინც ვადაზე, დანიშნულ ადგილზე არ გამოცხადდებოდა თავის თოფ-იარაღით და სურსათით, სასტიკად ისჯებოდა, თავადი იქნებოდა, თუ გლეხი. სურსათის საზიდავათ მეფე მათ თავის ხარჯით აძლევდა ურმებს.

წესდებაში ნათქვამია: „ასეთი საზრდო, სამარხვო თუ სახსნილო, თავადი იქნება, აზნაური, თუ გლეხი, უნდა ჰქონდეს ერთი თვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სურსათის ზიდვას გარდა, თუ მივსცემთ საზრდოს, ეს იქნება ძნელი და დააცარიელებს ჩვენს ხაზინას. ამასთანავე, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ნამდვილ მოწყო-

ბისა და კანონისათვის, მტრის მოგერებისათვის, სამშობლოში მშვიდობიანობის დასამყარებლათ, ღვთისა და ჩვენის სამსახურისათვის თავისი არავინ რა დაზოგოს".

ლაშქრობისა და მორიგ სამსახურისგან თავისუფლდებოდნენ ავადმყოფნი და ისეთები, ვისაც ლაშქრობის წინ მოუკვდებოდა დედა, მამა და ანუ ძმა. თუ ვინმე განგებ მოიგონებდა ავადმყოფობას—ნას ორმაგი სამსახური მიესჯებოდა.

როდესაც ჯარი რომელსამე სოფელზე გაივლიდა, სარდლებს ნაბრძანები ჰქონდათ ათასისა და ხუთასისთავებს ყურადღება მიექციათ, ჯარის კაცებს მცხოვრებლები არ შეეწუხებინათ, არაფერი წაერთმიათ. დამნაშავე სასტიკათ—ისჯებოდა. სოფლელები ვალდებულნი იყვნენ ჯარისათვის შეშა და თივა დაემზადებინათ. ჯარის უფროსებს დავალებული ჰქონდათ კვირაში ერთხელ დაედასტურებიათ, რომ ჯარის კაცებს ერთის თვის სამყოფი ტყვია-წამალი ჰქონოდათ. ჯარს ჰყავდა ექიმები და დოსტაქრები.

სასტიკი ბრძანება იყო გაცემული, ყოველი სამხედრო პირი დანიშნულ ვადაზე სამსახურში გამოცხადე-

ვნის რკინის გზებზედ, გააქვთ საქართველოს საზღვრებიდან დიდძალი სურსათი და საქონელი, რომლის გატანა აკრძალულია. ამის შეწყვეტისათვის საჭიროა სწრაფად მიღებულ იყოს მძდეგი ზომები.

1. მატარებლები, რომელნიც მიდიან საქართველოდან ბაქოში, უნდა იყოს დათვალიერებული სალო-ოღლის სადგურზე და რომელნიც მიდიან ალექსანდროპოლ-ერევნისკენ—სადგურ სანაინში.

2. მატარებლების და მგზავრების დათვალიერებას ხელმძღვანელობს საბაჟოს მოხელე სანაპირო დარაჯის თანდასწრებით და დახმარებით.

3. მგზავრების დათვალიერების დროს უნდა ხელმძღვანელობდეთ მძდეგით:

ა) თითეულ პირს ნება აქვს წაიღოს:
ნახევარი გირვანქა შაქარი
მერვედი ჩაი ერთი, საპონი, მეოთხედი თუთუნი
50 ცალი პაპიროსი
ორი პაპიროსის ქაღალდის წიგნაკი და სხვა სურსათი, რაც აუცილებელი საჭიროა ორ დღე და ღამისთვის.

ბ) ნაჩვენებ ზომაზე მეტი სურსათი და საქონელი შეუძლიათ წაიღონ იმათ, ვისაც აქვს მოწმობა საქართველოს რესპუბლიკის საქონლის გამცვლელ-გამომცვლელ თავმჯდომარისაგან.

ვ) მგზავრების ხაბაკის გარდა (მუხ. 71ჰ წესდ. საბაჟ.) ყველაფერი ზომაზე მეტი სურსათი და საქონელი ერთმევათ და სდგება ერთი ოქმი (აქტი),

გ) აქტში უნდა იყვეს ნაჩვენები იმ პირთა სახელი და გვარი, ვისაც საქონელი ან სურსათი ჩამოართვეს და აგრეთვე რაოდენობა და თვისება ჩართმეოდულ საქონლისა და სურსათისა.

დ) აქტს ხელი უნდა მოაწერონ საბაჟოს მოხელემ, რომელიც ხელმძღვანელობდა დათვალიერებას და აგრეთვე თან დამსწრე სანაპირო დარაჯის ოფიცერმა.

4. იმ პირთ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან მიემგზავრებიან, უნდა ჰქონდეთ ჩვენის მთავრობის ნებართვა და იმათ კი, ვინც საქართველოში მოდიან, უნდა ჰქონდეთ ნებართვა ჩვენი დიპლომატიურ წარმომადგენლებისაგან, რომელნიც იმყოფებიან ბაქოსა ან განჯასა და ერევანში.

ხელს აწერენ: ფინანსთა მინისტრი **ჟურული** სამხედრო მინისტრის მაგივრად **გ. მ. მდივანი**, მთავარი საბაჟოს მმართველი **მიქაძე**; სანაპირო ჯარის უფროსი პოლკოვნიკი **მაყაშვილი** და კომისიის თავმჯდომარე პოლკოვნიკი **კაკაბაძე**.

## ნარევი

ოფიცერთა ყოფილი საეკონომიო საზოგადოება, კარგა ხანია, გადმოვიდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა ხელში. არჩეულია მიმღები კომისია, რომელმაც, ალბათ, უკვე დიდი ხანია, ჩაიბარა ეს დაწესებულება. ოფიცრობა ელის და ვერ მოსწრებია, როდის იქნება წევრთა საერთო კრება, რომ ამ სისხლის პურის ჭამის დროს, თვისი საეკონომიო დაწესებულება საიმედო პირთა ხელში გადასცეს.

ველით მოკლე ხანში კრებას, თუ არა და, თანახმათ წესდებისა, იძულებულნი ვიქნებით რამოდენიმამე წევრმა ხელი მოვაწეროთ და უმაღლეს მთავრობას მივმართოთ.

ბულიყო. ვინც ერთ დღეს დაიგვიანებდა, ჯარიმა უნდა გადაეხადნა: თავადი იხდიდა 200—მანეთს, აზნაური—100—მანეთს, მამასახლისი 6—მანეთს; ერთ დღეზე მეტით დაგვიანებისათვის ჯარიმა ორკეცდებოდა. ჯარისკაცების სასჯელი კიდევ სხვა იყო. თუ სამხედრო პირი მორიგ სამსახურში არ გამოცხადდებოდა, უფროსს ანუ მემამულეებს წინააღმდეგობას გაუწევდა, ან ტყეში დაიმალებოდა, მაშინ იმ სოფელს, სადაურიც დამნაშავე იყო, ევალებოდა მოეძებნა და წარედგინა, ანა და ჯარიმად გადაეხადნა 60—მანეთი. თუ დამნაშავე სხვა სოფელში გაიქცევოდა და იქ დაიმალებოდა, სოფელი ვალდებული იყო დამნაშავე დაეჭირა და გაეცა ან ჯარიმად 60 მან. გადაეხადნა.

თუ დამნაშავე სამხედრონი დანიშნულ ჯარიმის გადახდას ვერ შესძლებდნენ, თუნდაც მთელი თავისი ქონებაც რომ გაეყიდნათ, მაშინ სასჯელი ასე ეცვლებოდათ: ფეხებში ბორკილს გაუყრიდნენ და ციხეში ჩასვამდნენ ერთის თვით; საჭმელათ მხოლოდ პურსა და წყალს აძლევდნენ. ტუსაღებს ნება ჰქონდათ ღვინოც მოეთხოვნათ. აზნაურს ჯერ ას წკეპლას დაჰკრავდნენ და შემდეგ ციხეში ამწყვდევდნენ ისე, როგორც თავადს.

ჯარის კაცს—გადაწყვეტილი ჰქონდა ასი წკეპლა, შემდეგ ბორკილებსა და ხუნდს შეუყრიდნენ და დააპატიმრებდნენ.

ზემოხსენებულ ცნობებს გარდა, მეფე ერეკლეს სამხედრო წესდებაში კიდევ შემდეგს ვკითხულობთ: „თუ ოდესმე ჩვენ მშვიდობიანობის დროს, მოგვიხდება ჩვენს სამეფოს რომელსამე ადგილში წასვლა, მაშინ ყველა საზოგადოებიდან ვალდებულია თან გამოგვყვეს იმდენი კაცი, რამდენსაც ჩვენ ვინებებთ.... ის სოფელი, სადაც ჩვენ მივალთ, ვალდებულია მოგვიმზადოს საზრდო: მარხვაში—სამარხვო და ხსნილში—სახსნილო—ღვინით; ცხენების შესანახათ ვბრძანებ: აპრილის ნახევრიდან ოქტომბრამდის სოფელს არ მოეთხოვოს ქერი. ოქტომბრის ნახევრიდან მარტის გასვლამდის კი—მოეთხოვოს 2—3 ლიტრა ქერი., ასევე უნდა მოხდეს, თუ სოფელში ჩვენ ორ დღეს მოგვიხდა დარჩენა, თანამხლებელნი ცხენოსანნი ვალდებულნი არიან თავიანთი სურსათი თან ატარონ, იმიტომ რომ ისინი წამოყვანილნი არიან ჯარიდან, რომელსაც თვიური საგზალი აქვს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

თბილისში 1862 წლიდგან არსებობს ეგრეთ წოდებული „კრუჟოკი“. როგორც ვიცით, ეს დაწესებულებაც იმასვე ემსახურებოდა, რასაც ბევრი სხვა, აწ საუკუნოებს ჩაბარებული რუსული დაწესებულება. როგორც მთავრობის იდეების მატარებელი და საქართველოს ძირის გამომთხრელი, იგი დიდ დახმარებას (ფარულს თუ ცხადს), იღებდა მთავრობისაგან.

უკანასკნელ ხანამდე „კრუჟოკი“ ითვლებოდა ერთ უმდიდრეს დაწესებულებად, ჰყავანდა აუარებელი წევრი, აქვს უძრავი ქონება, მოწყობილება, ჭურჭელი და უმდიდრესი წიგნთ-საცავი. აქედან რუსების გალაგების ხანაში, „კრუჟოკს“ დაეპატრონა სასამართლოს რამოდენიმე მოხელე-„ჩინოვნიკი“ და უპასუხმგებლოთ განაგებს ჩვენთვის ამ მეტად სასარგებლო დაწესებულებას. საჭიროა ოფიცრობამ დროზე ამოიღოს ხმა და დაეპატრონოს ამ დაწესებულებას, თორემ, როგორც სხვაგან, რუსის „ჩინოვნიკები“ აქაც მარტო გამოხრულ ძვლებს გადმოგვიგდებენ.

# პ რ ე ს ს ა.

**ქართული მანიფესტი.**

ეს სახელი უნდა ვუწოდოთ ჩვენ იმ წერილს რომლითაც ჩვენმა სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა და ამასთანავე მთავრობის წევრებმა მიმართეს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს:

ეს საყურადღებო დოკუმენტი რომ შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის გადაეცათ ჩვენს წარმომადგენლებს, უკეთესი იქნებოდა, თუმცა, იგი მაინც მივა დანიშნულებისამებრ. ინტერნაციონალი, როგორც ნადაც ვიცით, დღეს აღარ არსებობს (საუბედუროთ), იგი იმავე თანტორებმა დასცეს, რომლებმაც პირველ ინტერნაციონალს მოუღეს ბოლო.

როგორცა ვთქვით, მანიფესტი ყოველის მხრივ ღირსშესანიშნავი საბუთია. ერთი ადგილი გვეუცხოვა ჩვენ მხოლოდ მისი. აი ეს ადგილი. „ახლა-კი, როდესაც გერმანულ იმპერიალიზმს თვით გერმანელმა ერმა დასდო მსჯავრი, ჩვენ ჩვენს ზნეობრივ მოვალეობათა ვსთვლით აღვიაროთ, ინტერნაციონალის წინაშე, რომ საქართველოში გერმანიას არ მოუცხია არავისთვის ჩირქი, არც ძალდატანებით, არც სიმუხთლით, მას არ გამოუყენებია ცუდათ არც ჩვენი ნდობა და არც თავისი ძლიერება“.

ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენის წინამძღვრების ავტორიტეტი ჩვენშიაც ძლიერსა სჭრის. როგორღა უნდათ მათ დასავლეთ ევროპას შეუცვალონ აზრი გერმანიის აწ განსვენებული იმპერიალიზმის შესახებ. არ ვიცი, თუ არა და რა აზრი ჰქონდა საერთოთ ამ „პასუხს“.

„ერთობა“ ეხება გერმანიის რევოლუციას. ადარებს მას რუსეთის რევოლუციას. ეხება ანალოგიებს ამ ორ რევოლუციათა შორის და ჰპოებს კიდეც მათ. „მაგრამ,— განაგრძობს იგი,—არის ერთი განსხვავება და სწორედ ეს აბათილებს მათს მსგავსებას, უმთავრესი ის არის, რომ გერმანია მსხვილ კაპიტალიზმის ქვეყანაა. იქ ხალხის პროლეტარიზაცია ძალიან შორსაა წასული. პროლეტარიატი ხალხის უდიდეს ძალას შეადგენს,—ყველა კლასზე ძლიერია როგორც რიცხვით, ისე პოლიტიკურ შეგნებით და მომზადებით“.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორს, რომ გერმანიის რევოლუციას გარეგნულ მსგავსებასთან ერთად დიდი გან-

---

მეფე ერეკლემ ბოლოს მოსპო კანონის ეს მუხლი.

მეფეს კარგად ესმოდა, რომ მისი წესდება მხოლოთ მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო სასარგებლო და ნაყოფიერი, თუ მისნი ქვეშევრდომნი ყველანი, განურჩევლათ წოდებისა, წესიერათა და თანაბრათ ასრულებდენ. ამიტომ მეფე სწერს: „ეუწყოს ყველას, დაბალთა და დიდებულთა, რომ როგორც არ შეიძლება შესცვალო სარწმუნოების კანონი, აგრეთვე ეს სამხედრო წესდება ან შესცვალო ანუ შეამსუბუქო; არც ჩვენ, არც ჩვენს შვილებს არ შეეძლოსთ დამნაშავის შებრალება. სამღვდელო, სახელოვანი თავადი, აზნაური ანუ გლეხი, სახელოვანი ქალიც კი, რომლებიც იკისრებენ შუამდგომლობას ამ წესდების რისამე შესაცვლელათ — დამნაშავებად ჩაითვლებიან და დაისჯებიან სულიერათ და ხორციელათ. სამხედრო ბეგარისაგან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ მოსაზღვრე ოსები, თუშ-ფშავ-ხევსურნი და სხვები. მათგან ხანდახან სდგებოდა რაზმი რიცხვით 5,000 კაცამდე, რომელიც საზღვრებსა ლეკებისა და სხვა ერებისაგან იცავდა.

ჯარისათვის რომ მაგალითი მიეცა და აღეფრთოვანებინა, მეფე ერეკლე ყოველ წლივ თითო თვით თითონ მიდიოდა საზღვარზე სადარაჯოთ. მისს მაგალითს ბატონიშვილებიც მისდევდენ, და ეს სამსახური მალე საპატიოდ გახდა.

ერეკლეს უფროსმა შვილმა, გიორგიმ (ცნობილმა ზარმაცმა), პირველმა დაარღვია ამ სამსახურის წესი, ის თავის ჯერ მორიგეობაში აღარ გავიდა. და ამით მაგალითი მისცა სხვა ბატონიშვილებსაც. ამის გამო ეს სამსახური ჩქარა მივიწყებულ იქნა, როგორც ბატონიშვილებისა, ისევე დავადებისგანაც.

როგორც ვიცით, მოხუცდა თუ არა მეფე ერეკლე და მისმა შვილებმა მამულები დაიყვეს, შინაურმა უთანხმოებამ ფეხი მოიკიდა და სამეფოს საქმეები აირევა. ოდესღაც სახელოვანი სამეფო დაუძლურდა და მეზობელ ერების საგლეჯათ გადაიქცა.

სამხედრო ძალაც აღარაფერს წარმოადგენდა. ვინაიდან მათში წეს-რიგიც აღარ სუფევდა.

მეფე ერეკლე იძულებული გახდა დაქირავებულ ჯარით დაეცვა სამეფო.

ამ მიზნით მან 5—10 ათასამდე დაქირავებულ ლეკთა ჯარს მოუყარა თავი და ისე იცავდა საყვარელ სამშობლოს.

**ფ. ებესაძე.**

სხვავება ექნება რუსეთის რევოლიუციასთან. მაგრამ ის აზრი, რომ გერმანიაში პროლეტარიატი ხალხის უმრავლესობას შეადგენს, შემცდარად უნდა ჩაითვალოს.

არა თუ გერმანიაში საერთოთ, არამედ თვით ინდუსტრიალობით განვითარებულ საქსონიაშიც კი არ შეედრება პროლეტარების რიცხვი წვრილ და მსხვილ მესაკუთრეთა რიცხვს.

გერმანიის კულტურის ყოველ მხრივ აყვავება ვილჰელმის მეფობის დროს აკვირვებს და ანცვიფრებს „კავკაზსკოე სლოვოს“. მას არ მოსწონს მხოლოთ ამ განვითარების საბოლოო მიზანი, რომელიც, გაზეთის აზრით, სხვა ერების წინააღმდეგ იყო მიმართული. გაზეთი ფიქრობს, რომ გერმანელი ერი დაბრმავებული იყო თავის ძლიერებით. მას სწამდა, რომ მას განსაკუთრებული მისია ჰქონდა მსოფლიო ისტორიაში.

ჩვენის აზრით, ასეთი „ქაოსი“ და მაღალი იდეები ჩვეულებრივ ვიწრო წრეებში იბადება. საუბედუროთ, ასეთ წრეებს ხან და ხან ისეთი ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში, რომ მათ მთელის ერის ენერგია შეუძლიათ იხმარონ იარაღად ხელში. ასე იყო სწორეთ გერმანიაში, მხოლოთ ბატონობის იდეა იყო გერმანიის იდეა. იგი სამხედრო „პარტიის“ ფანტაზია იყო. მაგრამ ამ სამხედრო პარტიას ისეთი ადგილი ეჭირა გერმანიაში, რომ მას შეეძლო იქით მოემართა გერმანიის მართლაც და „საშინელი ეროვნული ენერგია“, საითაც მას მოესურვებოდა.

## სხვა და სხვა ამბები.

— **სამხედრო წესები ტფილისში.** მთავრობის ბრძანებით (№ 43) ტფილისსა და მის შემოგარებში ამა თვის 8-დან სამხედრო წესები იქმნა გამოცხადებული. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი მაზნიაშვილი.

— **ახალციხისა და ახალქალაქის** ჯარების უფროსად დაინიშნა გენერალი მაყაშვილი, რომელიც ხსენებულ მაზრაში გენერალ-გუბერნატორის როლსაც ასრულებს. გენერალმა მაყაშვილმა ადგილობრივთ მკვიდრთ მიმართა და ურჩია ხელი შეუწყონ მას წესიერების დამყარების საქმეში.

— **პარტიული კრება.** გიორგობისთვის 11 ტფილისში გაიხსნა სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკების) პარტიის კრება. როგორც გავიგეთ, ამ კრებაში სხვა ერთა სოციალისტებიც იღებენ მონაწილეობას. კრებას მიზნადა აქვს შეეხოს ყველა საჭირბოროტო კითხვებს და გამოიმუშავოს სათანადო დირექტივები.

**ვილჰელმის გადადგომა.** დეპეშები გვატყობინებენ, რომ გერმანეთის იმპერატორი ვილჰელმი და მისი მემკვიდრე გადამდგარან ტახტიდან. ამ ამბავს, გერმანული საინფორმაციო ბიუროს გამგე პროფესორი ცუგმაიერიც ადასტურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამოვიდა და დაურიგდა ჯარებს სახელმძღვანელოთ ქვეითი ჯარის „წყობილების წესდება“.

რამოდენიმე ცალი გადაეცა შტაბის მაღაზიას გასასყიდათ. მაღაზია ლორის-მელიქოვის ქუჩაზეა, სტამბის გვერდით.

იბეჭდება და მალე დაურიგდება ჯარებს: ,,შინა სამსახურის წესდება“, ,,სამ ხაზიან თოფის და რევოლვერის აღწერა‘‘, ,,დებულება ქვეითა ჯარის სწავლებისა‘‘, ,,დებულება ცხენოსან ჯარის სწავლებისა‘‘ და ,,ცხენოსან ჯარის წყობილების წესდება‘‘.

მზადდება ,,საგარნიზონო წესდება‘‘ და ,,საარტილერიო წესდებები‘‘.

— სამხედრო სამინისტროს საწესდებო კომისია მიჰმართავს ერთეულების უფროსებს დაუსახელონ ისეთი ოფიცრები, რომელთაც ქართული ენა კარგათ იციან და შეუძლიანთ სთარგმნონ წესდებები რუსულიდან ქართულათ.

— ფოთის გარნიზონის უფროსი პოლკოვნიკი ჩხეიძე, რკ. გზ. გენერალ-გუბ. ბრძანებით, ფოთის ნავთსადგურის მცველთა უფროსად დაინიშნა.

— საქართველოს რესპუბ. ჯავშნოსან მატარებლების უფროსი გოგუაძე გენერალ მაყაშვილმა რესპუბლიკის რკინის გზის ხაზების კომენდანტად დანიშნა.

## აფეთქების განზრახვა.

ნოემბრის 13 გამოაჩინეს ტფილისის ტრამვაის ცენტრალური და ტფილისის ელექტრონის სადგურების აფეთქების განზრახვა. საქმე ასე ყოფილა: ერთი მუშა შემთხვევით ამ ორ სადგურის კედლებს შუა ეძებდა თურმე ჭიაყელებს თევზებისთვის. შეუნიშნავს, რომ მიწაში და კედლებთან რაღაც გრძელი რამ ყოფილა დაფლული, აგრეთვე კედლებშიაც-ცოტა მოუგლეჯია და შეუგდია ცეცხლში და უნახავს რომ აფეთქებულა. ეს განუცხადებია ამხანაგებისათვის. მოუხდენიათ ჩხრეკა და უპოვიათ კიდევ ასაფეთქებლათ დამზადებული ყუმბარები და დინამიტი. მაშინვე მილიცია მოუწვევიათ და ტრამვაიელი გვარდიელები სადარაჯოთ. ნოემბრის 14 15 ღამე 4 საათზე ორი ვიღაც შეიარაღებული კაცი დაეცა დარაჯ გვარდიელს ალექსანდრე ლოლუბელაშვილს და დაუწყო სროლა. იგი დასჭრეს ორ ადგილას, ლოლუბელაშვილს სხვებიც მიეშველებიან, მაგრამ ბოროტ-განმზრახველებს თავისთვის უშველიათ. აფეთქება რომ მომხდარიყო, ერთსა და იმავე დროს განადგურდებოდა ქალაქის ტრამვაის ცენტრალური ელექტრონის სადგური და აგრეთვე ქალაქის ელექტრონის სადგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იხ. წერილი „არარატის“ რესპუბლიკა“.

# რუსის ოფიცრობა და საქართველო

ორ ნოემბრის „Борьба“-ში არის მოყვანილი წერილი („Сочинская мысль“-დან), რომელიც, უეჭველია, ალაშფოთებს, ყველა პატიოსან ადამიანს, მხოლოდ არ აშფოთებს, როგორც ეტყობა, რუს ოფიცრობას.

ჩვენამდის ყანტი-კუნტად მოდიოდა ხმები, რომ რუსის საზოგადოებამ, ბოლშევიკებიდგან დაწყებულმა, უკიდურეს მემარჯვენე ელემენტებამდის, მტრული განწყობილება დაიკავა ჩვენდამი; მას ვეზიზღებით არა მარტო მისთვის, რომ რუსეთს ჩამოვშორდით, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ აქ ვითომც ვერაგულად ვეპყრობოდეთ რუსებს და უფრო კი რუსის ოფიცრებს.

„Борьба“-ს ხსენებულ ნომერში მოყვანილია ადგილები ყუბანის და დონის გაზეთებიდან, სადაც აღნიშნულია აღსაშფოთებელი ცილისწამება ქართველებზე იმ ვერაგობასა და ინკვიზიციაზე, რომლებითაც ვითომ ჩვენ ვუმასპინძლდებით რუსის ოფიცრებს. იქ იხსენიება რუსის ოფიცრების საკონცენტრაციო პუნკტებში მოთავსება, მათის ნაწილის გერმანიაში გადაგზავნა, მათი სიმშილით დახოცვა და ბევრი სხ.

მარტო იმაზე რომ იყვნენ გულნატკენნი რუსეთში, რომ ჩვენ მათ ჩამოვშორდით, ეს ჩვენთვის ფსიქოლოგიურად გასაგები იქნებოდა; მაგრამ როდესაც ისინი ჩვენ მიერ ოფიცრების შეურაცხყოფაზე ლაპარაკობენ, ეს სრულიად გაუგებარი ხდება.

საქართველოში რამოდენიმე ათასი რუსის ოფიცერი ცხოვრობს, იგეთებიც კი არიან, რომლებსაც ბოლშევიკების გამარჯვებამდე კავკასია თვალით არ ენახნათ, ზოგნი კი კავკასიის ლაშქრის დაშლის და შინ წაბძანების შემდეგ დარჩნენ აქ. იმათ არ განუცდიათ ის უსაშინელესი თავის დამცირება და შეურაცხყოფა, რაც მათმა ამხანაგებმა განიცადეს რუსეთში; ისინი გადურჩნენ აქ მათ გალესილ დანას, რომელიც მათთვის დამზადებული იყო რუსეთში და რომელმაც ბევრიც გამოასალმა წუთი სოფელს; ისინი გადურჩნენ აქ შიმშილობას, იღებდნენ აქ ჯამაგირებს იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც არავითარი დამოკიდებულება აღარ ქონიათ ჩვენთან; ბევრი მათგანი კიდევაც მსახურობს ჩვენში და დანარჩენნი ვაჭრობით და სხვა ინტელიგენტურ შრომით ცხოვრობენ. ასე რომ უმრავლესობა ისე კარგად გრძნობს თავს ჩვენში, რომ აქედგან წასვლა არა სურს, თუმცა უკრაინაში, დონზე და ყუბანის მხარეს ცხოვრება შედარებით უფრო იაფია, ვიდრე აქ.

რამდენიც უნდა გძულდეს შენი მტერი, პირადი პატიოსნება მოითხოვს მისი მოპყრობა ისე შეაფასო და განსაჯო, როგორიც არის სინამდვილეში; რუსების ოფიცრები კი, რომელნიც ასე კარგად გრძნობენ თავს აქ, როცა სამშობლოში მივლენ, ყოველსავე ჩვენის ავაზაკობის ცნობებსავრცელებენ და ამით ამხედრებენ რუსე-

თის საზოგადოებას ჩვენს წინააღმდეგ. რა სახელი უნდა ვუწოდოთ ასეთს საქციელს? ნუ თუ ამ ხალხმა დაჰკარგა ის ელემენტარული სინიდისი და პატიოსნება, რომელიც ავაზაკსაც და თვით პირველყოფილ ადამიანსაც კი აქვს? მაგრამ, ეტყობა, ეს ასეა, ისინი მოკლებულნი არიან ყოველგვარ თავმოყვარეობას და უბრალო წარმოდგენაც კი დაუკარგავსთ პატიოსნებისა და კეთილშობილებისა. თორემ ვინმე მაინც ჩასთვლიდა სავალდებულო მოვალეობად, დაჰგმონ სხვების სიცრუე და გააგებინონ თავის თანამემამულეებს, რომ ის, რასაც საქართველოზე სწერენ აქედან წასული ოფიცრები, სიმართლეს არ შეეფერება; რუსის ოფიცრების საქციელი იმ უმადურ სტუმრის საქციელსა ჰგავს, რომელიც მივა ვისთანმე, სჭამს, სვამს, შემდეგ გამოვა გარედ, გამოგემშვიდობება. და შუა ეზოში მასპინძელს დეზას აგინებს.

ვნახოთ, მიხვდებიან აქაური რუსის ოფიცრები, რას ჩადიან ისინი, და თუ მიხვდებიან, შეეცდებიან ისინი, თუ არა სიმართლის აღდგენას?

არტილერისტი.

# თითო-ოროლა კულტურული დამუშავებული მამულიც ოხრდება.

ამ ომიანობას, ჩრდილოეთის ფრონტზე ყოფნის დროს, არა ერთ პოლოხელ მემამულის სახლ-კარ-მიდამო და მამული მინახავს. დიდებული სასახლე ევროპიულად მოწყობილი, მეურნეობა უმაღლეს საფეხურზე დაყენებული, კულტურულად დამუშავებული სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა.

რამდენსაც შევხვდებოდი ასეთ კულტურულ ნიადაგზე დაყენებულ მეურნეობას, მყისვე ჩემი სამშობლო მომაგონდებოდა ასოციაციის ძალით და გავიხსენებდი ჩვენს ადამისეულ რვა უღლიან ხის გუთანს, კევრებით ყანისა და ქერის ლეწვას, ფიწლებით ნიავებას და ბევრ სხვა ასეთს, რომელიც მრავალ ხელს დიდ ენერგიას და დიდ დროსა თხოულობს.

ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, უმრავლესობა ჯერ კიდევ პრიმიტიულად ამუშავებს მამულს. თითო-ოროლას თუ შევხვდებოდით, რომლებიც მეურნეობას სათანადო ყურადღებას აქცევენ და კულტურულად ამუშავებდენ. დღეს, საუბედუროდ მათაც ბოლო ელება.

იმის მაგივრათ, რომ სხვებმაც წაბაძონ ამ მეურნეთ, ამ სამაგალითო მუშაკთ, ეს სხვები მათაც უქარწყლებენ ხამუშავარს, უნგრევენ და უნიავებენ წლობით სათუთად მოვლილ ბაღ ვენახებს; რასაც ანარქიული მოძრაობა აკლებს, იმას მიწის დეკრეტი ავსებს. დაქუცმაცებული 7 და 15 დესიატინიანი „მემამულე“ რა მანქანებს აამუშავებს ამ ერთ ტკაველა ადგილზე?! ჩვენ ვფიქრობდით, რომ კულტურულად დამუშავებულ მოვლილ მეურნეობას მთავრობა სახელმწიფო ქონებად მაინც გამოაცხადებდა (შეყიდვით თუ უფასოთ ჩამორთმევით) და ერთიანად ვასცემდა იჯარით ან ისევ ყოფილ პატრონზე, რომლის უპრიანიც უფრო იქნებოდა ან სხვა ვინმე უკეთეს მეურნეზე, თუ, რასაკვირველია, [illegible]-ბოდა.

სამწუხაროთ, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ დღეს. პირ იქით, ჩამორთმეული მამული ბევრი სულ უპატრონოთ დარჩა, რადგან თუ პატრონს, მემამულეს ჩამოართვეს, მაგალითად ხილის ბაღი, მას გლეხები ვერ დაეპატრონეს. ვერ დაეპატრონენ იმიტომ, რომ ერთ მემამულის ბაღი მთელ სოფლის გლეხებს ვერ გასწვდება; რომ დაიყონ, თითო ძირი არ შეხვდებათ და გაყოფაზე ერთი უბედურება დატრიალდება, ერთმანეთს ამოხოცვენ. ამიტომ ყველანი განზე სდგანან, არავინ არ უგდებს ყურს, არავინ ფიქრობს ან ღობის გაკეთებას, ან გასხლას, ან მორწყვას თუ წამლობას; ხილს კი, სანამ ასხია, ჩუმათ თუ ცხადლივ ყველა ზიდავს და ასე ანიავებს თუ კერძო მესაკუთრის არა, სახელმწიფოს დოვლათს მაინც.

სოფ. ტირძნისში, მაგალითად, ძმებ სულხანიშვილებისთვის კრებაზე სახლის წინ 18 დღის ბაღი ჩამოურთმევია კომისიას და სადღაც შორს დაუტოვებია 14 დღისა. აი ამ 18 დღის ბაღიდან არავის 18 მანეთის ხილი არ გაუყიდნია. სოფლელებს „ძმურათ“, ,,ამხანაგურათ‘‘ შეუჭამიათ ჯერ კიდევ, მგონი, იქვე კუხე ხილი იმ დროს, როდესაც 40000 მან. ხილი გაიყიდებოდა. კარგი არ იქნებოდა, რომ ამის ნახევარი ჩვენ ღარიბ სახელმწიფოს ხაზინას შემოსვლოდა? რამდენ ამისთანა შეცთომას სჩადის სოფლად შეუგნებელი ხალხი! სად არის, როდის იქნება რომ სოფლის ადმინისტრაცია თავის ადგილზე იდგეს და ღირსეულად, შეგნებულად ასრულებდეს თავის მოვალეობას? სოფლის კომისრებს რომ თვეში აცდათ-ათი თუმანი დაუნიშნეს, გვეგონა რაოდენადმე მომზადებული პირები დაინიშნებოდენ, (ოცდა ათი თუმანი თუნდაც ასეთ სიძვირეში, სოფელში მაცხოვრებლისთვის არაა პატარა ჯამაგირი), რომლებიც როგორც დეზერტირ ჯარის კაცებს დაუყონებლივ დააბრუნებდენ თავ-თავიანთ ნაწილებში, ისე სოფლელთა ყოველ წინდაუხედავ უგვანო გამოსვლას ააცდენდენ და სახელმწიფოს ყოველ კუთხის ნორმალურ კალაპოტში ჩააგდებდენ. თორემ აბა რასა ჰგავს, რომ, მაგალითად ტირძნელებმა შესჭამეს უბარაქოთ სულხანიშვილების ბაღი და ახლა ყურსაც არ იბერტყავენ. დროა ასეთ მოვლენებს მიაქციოს მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება. ეს ბაღი, როგორც კულტურულად დამუშავებული, არ უნდა დაიჭრას წვრილ ნაჭრებად. დროზე უნდა მიხედოს სამიწადმოქმედო სამინისტრომ და მთლიანად გასცეს იჯარით შესაფერ მოიჯარადრეზე, თუ მაინც და მაინც არ დაიშლიან და ჩამოართმევენ სულხანიშვილებს.

მ. იშხნელი.